

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ნატო მეზალიშვილი

ინფლაციისა და უმუშევრობის დინამიკის  
ეკონომეტრიკული მოდელირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის კათედრა

ხელმძღვანელი: პროფესორი იური ანანიაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი

თანახელმძღვანელი: ნინო კულატამიშვილი

თსუ დოქტორანტი

თბილისი 2020

## ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა თეორია ინფლაციისა და უმუშევრობის დინამიკის ასახსნელად. კვლევა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე, კერძოდ, შეფასდა, რამდენად შეესაბამება ფილიპსის მოდელი ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას ბოლო ოცი წლის განმავლობაში.

კვლევის მიზანია, დავადგინოთ რამდენად არსებობს ინფლაციისა და უმუშევრობას შორის კავშირი მოკლე და გრძელვადიან პერიოდებში. აღნიშნული დამოკიდებულების გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელ-თათვის, ვინაიდან ინფლაციაც და უმუშევრობაც უდიდეს გავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ამ საკითხის შესახებ მრავალი ურთიერთგამომრიცხავი თეორიაა შემუშავებული ეკონომისტებისა და მკვლევარების მიერ. ჩვენ შევეცადეთ სხვადასხვა მოდელების ანალიზით, გამოვიკვლიოთ რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს საქართველოში უმუშევრობასა და ინფლაციას შორის.

ნაშრომის პირველ თავში განვიხილავთ ამ თემის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას. მეორე ნაწილში ავხსნით საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ გარემოს, რათა უკეთ დავინახოთ განვითარების რა ეტაპზე ხდება აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი. შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ ინფლაციაზე, მის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და მოსალოდნელ შედეგებზე. ასევე შევეხებით უმუშევრობის ფენომენს და განვიხილავთ უმუშევრობის ბუნებრივი დონის შესახებ თეორიებს.

მესამე თავში ინფლაცია-უმუშევრობის დინამიკის ასახსნელად განვიხილავთ სხვადასხვა მოდელს. კერძოდ, ტრადიციული ფილიპსის მოდელს შევაფასებთ ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდით. შემდეგ გავაფართოვებთ მოდელს მასში სხვა მნიშვნელოვანი ცვლადების ჩართვით. ასევე განვიხილავთ ვექტორული ავტორეგრესიის მოდელს. შემდეგ გამოვიყენებთ ARDL მიდგომას და ცდომილების კორექციის მოდელს, რათა გავანალიზოთ ინფლაციისა და უმუშევრობას შორის არსებული დამოკიდებულების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტები.

## Annotation

In this research we analyze many different theories to explain the relationship between two main macroeconomic variables: inflation and unemployment. The research is based on the economy of Georgia, in particular we estimate whether Philips curve is valid for our economic situation during the recent twenty years.

The main goal of this research is to explore the relationship between inflation and unemployment both in short run and long run periods. Understanding this relationship is crucial for policymakers because these macroeconomic variables have a big impact on the people's standards of living. There are multiple theories investigating this relationship, some are controversial. We try to explore what kind of relationship between these variables exist in Georgia.

In the first section of this research, we review the literature in detail. In the second section we explain the macroeconomic environment in which we are going to conduct our research. In this section we also represent inflation, its main determinants and expected consequences. Then we analyze theories about unemployment and the natural rate of unemployment.

In the third section we estimate different models to explain the connection between inflation and unemployment. At first, we estimate traditional Philip's model using ordinary least squares. Then we expand our model incorporating other important variables. We also use Vector autoregressive model (VAR). Then we use ARDL and ECM models, to analyze the short run and the long run effects of this relationship.

## სარჩევი

შესავალი .....	5
1. ლიტერატურის მიმოხილვა .....	8
2. საქართველოს მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა .....	18
2.1 ინფლაცია, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები .....	18
2.2 უმუშევრობის დონე და NAIRU .....	26
3. ინფლაციისა და უმუშევრობის ურთიერთდამოკიდებულების შეფასება.....	32
4. ინფლაციისა და უმუშევრობის დინამიკის შეფასება ვექტორული ავტორეგრესიის მოდელით	44
5. განაწილებულ ლაგიანი ავტორეგრესიული მოდელი (ARDL).....	49
დასკვნა .....	58
გამოყენებული ლიტერატურა .....	60
დანართები .....	63

## შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი ფასების სტაბილურობის და სრული დასაქმების უზრუნველყოფაა. შესაბამისად, ინფლაციისა და უმუშევრობის დინამიკის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებლებისთვის, რათა მათ სწორი ნაბიჯები გადადგან მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიმართულებით. ეკონომისტებს შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, თუ რამდენად მიღწევადია ეს ორი მიზანი ერთად. თავდაპირველად, საჭიროა განვსაზღვროთ, როგორ არის ეს ორი მაკროეკონომიკური ცვლადი ერთმანეთთან დაკავშირებული.

სახელმწიფოს მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გავლენას ახდენს ინფლაციაზე რეფინანსირების განაკვეთისა და შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გზით. ეს ფინანსური ცვლილებები, თავის მხრივ, შრომის ბაზარზე პოულობს ასახვას. კერძოდ, როდესაც სახელმწიფო ექსპანსიურ პოლიტიკას ატარებს და ზრდის ფულის მასას, მცირდება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რაც სესხებს აიაფებს და ზრდის შინამეურნეობების შემოსავლებს. შედეგად, ისინი ზრდიან ერთობლივ მოთხოვნას და ფირმები საპასუხოდ ზრდიან წარმოებას, ქირაობენ დამატებით მუშახელს, რაც უმუშევრობის შემცირებას გულისხმობს. თეორიულად ასე შეგვიძლია ავხსნათ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებული უარყოფითი დამოკიდებულება.

ერთ-ერთი პირველი ეკონომისტი, რომელმაც მათ შორის გარკვეული კავშირის ახსნა სცადა იყო ახალ ზელანდიელი ეკონომისტი ვილიამ ფილიპსი. მას შემდეგ ამ თემას უამრავი ნაშრომი მიეძღვნა. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ არსებობს გარკვეული კომპრომისი ამ ორ მაკროეკონომიკურ ცვლადს შორის, ნაწილს კი მიაჩნია, რომ ეს კავშირი მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში იჩენს თავს, გრძელვადიან პერიოდში კი აღნიშნული დამოკიდებულება ქრება. უამრავი ნაშრომი არსებობს, რომელიც უმუშევრობასა და ინფლაციას შორის უარყოფით კავშირს ადასტურებს, თუმცა მათი ურთიერთდამოკი-

დებულება ბევრად კომპლექსურია ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ეკონომისტების ნაწილი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის კავშირს წრფივი დამოკიდებულების სახით განიხილავენ Gordon (1997), ნაწილი კი მიიჩნევს რომ კავშირი არაწრფივია. ასევე არსებობს ნაშრომები, სადაც აღნიშნულ ორ ცვლადს შორის დადებითი კავშირი დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით კვლევა ისევ გრძელდება. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით ინფლაციასა და უმუშევრობას შორის დამოკიდებულება წლების განმავლობაში თანდათანობით შესუსტდა. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ისინი ასახელებენ ინფლაციური მოლოდინების გავლენას და ეროვნული ბანკის ჩართულობას მოლოდინების ფორმირებაში. გარდა ამისა, აქ იკვეთება გლობალიზაციის როლიც, კერძოდ ინტენსიური კონკურენციის პირობებში ფირმები არიან გარკვეულწილად შეზღუდულები ფასების ხშირი ცვლილებისგან. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ინფლაცია-უმუშევრობის დინამიკა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და დამატებით ანალიზს საჭიროებს. ლიტერატურათა უმრავლესობაში ინფლაციისა და უმუშევრობის ახსნის პროცესში ორ პრობლემაზე მახვილდება ყურადღება: სპეციფიკაციის სისუსტე და ენდოგენურობის პრობლემა. ინფლაციის მოდელში დიდი მნიშვნელობა აქვს ინფლაციური მოლოდინების გათვალისწინებას, თუმცა, ვინაიდან ის, ისევე როგორც უმუშევრობის ბუნებრივი დონის მაჩვენებელი, დაუკვირვებადი მაჩვენებელია, სრულყოფილი მოდელის ფორმირება გართულებულია.

ნაშრომში მოყვანილია ინფლაციისა და უმუშევრობის მოდელები, კერძოდ ფილიპსის მრუდი და მისი სხვადასხვა მოდიფიკაციები. საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე შევეცდებით ავხსნათ რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ამ ორ მაკროეკონომიკურ ცვლადს შორის. მოდელის გასაანალიზებლად დავეყრდნობით 1998-2019 წლის კვარტალურ მონაცემებს.

ნაშრომის პირველ თავში განვიხილავთ ამ თემის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას, მეორე ნაწილში ავხსნით საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ გარემოს, რათა უკეთ დავინახოთ განვითარების რა ეტაპზე ხდება აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი. შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ ინფლაციაზე, მის

განმსაზღვრელ ფაქტორებსა და მოსალოდნელ შედეგებზე. ასევე შევხებით უმუშევრობის ფენომენს და განვიხილავთ უმუშევრობის ბუნებრივი დონის შესახებ თეორიებს.

მესამე თავში ინფლაცია-უმუშევრობის დინამიკის ასახსნელად განვიხილავთ სხვადასხვა მოდელს. კერძოდ ტრადიციული ფილიპსის მოდელს შევაფასებთ ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდით. შემდეგ გავაფართოვებთ მოდელს მასში სხვა მნიშვნელოვანი ცვლადების ჩართვით. ასევე განვიხილავთ ვექტორული ავტორეგრესიის მოდელს. შემდეგ გამოვიყენებთ ARDL მიდგომას და ცდომილების კორექციის მოდელს, რათა გავანალიზოთ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებული დამოკიდებულების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტები.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა

უამრავი თეორიული თუ ემპირიული კვლევა არსებობს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის მაგალითზე განსხვავებული მოდელების განხილვით დროის სხვადასხვა სივრცეში, თუმცა უმუშევრობასა და ინფლაციას შორის კავშირის ზუსტი ახსნა კვლავ რთულად გადასაწყვეტ პრობლემად რჩება.

უილიამ ფილიპსი (1958) იყო ერთ-ერთი პირველი ეკონომისტი, რომელმაც წარმოგვიდინა ინვერსიული დამოკიდებულება უმუშევრობასა და ინფლაციას შორის. მან შეისწავლა დამოკიდებულება უმუშევრობის დონესა და ხელფასების ზრდის ტემპს შორის დიდ ბრიტანეთში თითქმის ერთი საუკუნის მონაცემებზე (1861-1957) დაყრდნობით და აღმოაჩინა, რომ ინფლაციას განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტორი: უმუშევრობის დონე და ხელფასის დონის ცვლილება. მან განიხილა ფულადი ხელფასის ცვლილების სამი განსხვავებული დეტერმინანტი: ჭარბი მოთხოვნა შრომაზე, შრომაზე მოთხოვნის ცვლილების მაჩვენებელი და საცალო ვაჭრობის ფასების დონე. მან აგრეთვე გამორიცხა მოთხოვნისა და მიწოდების ეფექტები. მოდელის მიხედვით 5.5% -იანი უმუშევრობა ასოცირდებოდა 0 %-იან ინფლაციასთან, ხოლო როდესაც ის ასცდებოდა ამ ზღვარს, იწყებოდა ნომინალური ხელფასის შემცირების ტენდენცია<sup>1</sup>. ფილიპსის მიერ შემუშავებულმა მოდელმა კარგად იმუშავა დიდ ბრიტანეთში გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კერძოდ ის კარგად ხსნიდა არსებულ დამოკიდებულებას ინფლაციასა და უმუშევრობას შორის 1950-იან წლებამდე, თუმცა 1960-1970 წლებში სიტუაცია შეიცვალა და მოდელის სიზუსტე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მას შემდეგ უამრავი ნაშრომი შეიქმნა ფილიპსის მრუდის ვალიდურობის გასატესტად. იმ დროისათვის გავრცელებული მიდგომის თანახმად მოდელში უნდა ჩართულიყო ინფლაციისა და უმუშევრობის ლაგური მნიშვნელობები, რათა უკეთ ახსნილიყო ეკონომიკური დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მოდელი კვლავ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად რჩებოდა მაკროეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელ პირთათვის. 1970-იან წლებში ქვეყნების უმეტესობა

---

<sup>1</sup> Phillips, A. W. (1958), „The relationship between unemployment and the rate of change of money wages in the United Kingdom 1861-1957“



სტაგფლაციის წინაშე დადგა. მოგვიანებით კი 1980-1990-იან წლებში დაბალი ინფლაციის პერიოდი დადგა და ეკონომისტებმა ფილიპსის მრუდის მოდიფიკაციებზე დაიწყეს საუბარი. სამუელსონმა და სოლოუმ (1960) დაახლოებით ფილიპსის მიერ შემუშავებული მოდელის მსგავსი მოდელი შექმნეს ამერიკის შეერთებულ შტატების სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კერძოდ, მათ 25 წლის მონაცემები აიღეს და აჩვენეს მჭიდრო კავშირი უმუშევრობის დონესა და ინფლაციას შორის. უფრო მეტიც, მათი დასკვნებით, პოლიტიკოსებს ჰქონდათ არჩევანის შესაძლებლობა უმუშევრობა-ინფლაციის კომბინაცი-იდან აერჩიათ სასურველი დონე<sup>2</sup>. აქვე აღსანიშნავია ფრიდმანის (1968) მიერ შემუშავებული უმუშევრობის ბუნებრივი დონის შესახებ თეორია, რომლის მიხედვით გრძელვადიან პერიოდში ფილიპსის მრუდი არის სრულიად ვერტიკალური და უმუშევრობის დონე დამოუკიდებელია ინფლაციისა და მონეტარული პოლიტიკისგან. “ინფლაცია ყოველთვის და ყველგან მონეტარული ფენომენია” - წერს იგი. უმუშევრობის ბუნებრივ დონეს ლიტერატურაში NAIRU-ს ანუ უმუშევრობის არამზარდი ინფლაციის ტემპის სახელითაც ვხვდებით. მოკლევადიან პერიოდში ნომინალური შოკების გავლენით შესაძლოა უმუშევრობის დონე გასცდეს ბუნებრივ დონეს, თუმცა გრძელვადიან პერიოდში ის კვლავ უბრუნდება ბუნებრივ მდგომარეობას. ის აღწერს ადაპტური მოლოდინების გავლენას ფასებსა და ხელფასებზე და აღნიშნავს, რომ შრომის ბაზრის წონასწორობა ინფლაციისგან სრულიად დამოუკიდებელია<sup>3</sup>. მის მიერ შემუშავებულ მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$\pi = \pi^e - \varepsilon(U - U_N),$$


სადაც  $\pi^e = \pi_{t-1}$  რაც იმას ნიშნავს, რომ მუშაკები ინფლაციის მოსალოდნელ დონეს წინა წლის დონის შესაბამისად განსაზღვრავენ. ფრიდმანი აკრიტიკებს ფილიპსს, რომ მის მიერ შემუშავებული მოდელი მოიცავს ნომინალურ და არა რეალური ხელფასის მაჩვენებლებს. ფრიდმანი ასკვნის, რომ არსებობს მხოლოდ დროებითი კომპრომისი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის, რომელიც ძირითადად მოულოდნელი ინფლაციიდან

<sup>2</sup> Samuelson, P. A. Solow, R.M. (1960). “Analytical aspects of anti-inflation policy”

<sup>3</sup> Fridman, M. (1968). “The role of monetary policy”

გამომდინარეობს. მათ შორის მუდმივი კავშირი მაშინაც კი არ არსებობს, როდესაც ინფლაციის მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალია.

ილუსტრაციისთვის განვიხილოთ ნახ. 1.1. მთავრობის ექსპანსიური პოლიტიკის გავლენით ეკონომიკა მოკლევადიან პერიოდში A წერტილიდან B წერტილში გადაადგილდება, შედეგად მცირდება უმუშევრობის დონე და იზრდება ინფლაცია. იქიდან გამომდინარე რომ იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, გრძელვადიან პერიოდში თავად ფილიპსის მრუდი იწყებს მოძრაობას მარჯვნივ და ზემოთ, შედეგად ეკონომიკა B წერტილიდან C წერტილში გადაინაცვლებს, რაც უმუშევრობის უცვლელობას და ინფლაციის ზრდას გულისხმობს.



ნახაზი 1.1. კავშირი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის

მოგვიანებით რობერტ ლუკასმა გააკრიტიკა ფილიპსის მოდელი და აღნიშნა, რომ ინფლაცია და უმუშევრობა შესაძლოა თანაარსებობდეს. მან მოდელს დაუმატა მოსალოდნელი ინფლაციის ელემენტი და რაციონალური მოლოდინების თეორია. ზოგადად, ჩვენთვის ცნობილია, რომ ინფლაციური მოლოდინები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაციის რეალური მაჩვენებლის ფორმირებაზე. კერძოდ, როდესაც მოსახლეობას და ფირმებს აქვთ ფასების ზრდის მოლოდინი, ისინი ცვლიან თავიანთ ქცევას, ზრდიან მსყიდველობითუნარიანობას, რაც თავისთავად ზრდის ინფლაციის რეალურ დონეს. როდესაც ინფლაცია ძალიან მაღალი და ხანგრძლივია, ამან შესაძლოა

ხალხს დაზოგვის შემცირებისკენ უბიძგოს, რაც ინვესტიციების შემცირებაზე და უმუშევრობის ზრდაზე აისახება. ეკონომისტთა ნაწილს მიაჩნდა, რომ ინფლაციის დინამიკა აღიწერება ჩვეულებრივი შემთხვევითი ხეტიალის მოდელით დრეიფის გარეშე.

$$\pi_t = \pi_{t-1} + \varepsilon_t.$$

ინფლაციური მოლოდინები კი რაციონალურია და შესაბამისად ადგილი აქვს შემდეგი სახის დამოკიდებულებას:

$$\pi_t^e \equiv E_{t-1}\pi_t,$$

სადაც  $E_{t-1}$  არის მოლოდინის ოპერატორი  $t - 1$  პერიოდის ინფორმაციის პირობით.

შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ მიმდინარე ინფლაციის საუკეთესო პროგნოზს იძლევა წინა პერიოდის ინფლაცია, ანუ:

$$E_{t-1}\pi_t = \pi_{t-1}.$$

ამ მნიშვნელობის  $\pi = \pi^e - \varepsilon(U - U_N)$  გამოსახულებაში ჩასმით მივიღებთ:

$$\pi_t = \pi_{t-1} - b(u_t - u^n).$$

თუ ამ გამოსახულებას შემდეგნაირად გადავწერთ

$$\pi_t - \pi_{t-1} = -b(u_t - u^n),$$

შევნიშნავთ, რომ NAIRU,  $u^n$ , არის უმუშევრობის დონე, რომლის დროსაც ინფლაცია სტაბილურია გრძელვადიან პერიოდში. ადვილი დასანახია, რომ უპირობო ლოდინის დროს განხილული ფილიპსის მრუდი ვერტიკალურია (ნულოვანი კომპრომისი) გრძელვადიან პერიოდში. ხოლო, თუ განვიხილავთ პირობით ლოდინს, დავინახავთ, რომ მოკლევადიან პერიოდში ინფლაცია-უმუშევრობის კომპრომისი  $-b$  - ს ტოლია.

აღნიშნულ მოდელთან ახლოსაა ადაპტური მოლოდინის თეორია, რომლის მიხედვით მოსალოდნელი ინფლაცია არის წინა პერიოდის მოსალოდნელი ინფლაციისა და წინა პერიოდის პროგნოზის შეცდომის წრფივი კომბინაცია. მოდელი ასე გამოიყურება:

$$\pi_t^e = \pi_{t-1}^e + \varphi(\pi_{t-1} - \pi_{t-1}^e).$$

დროთა განმავლობაში ჩნდებოდა მოსაზრებები, რომ ინფლაცია შესაძლოა უარყოფითად იყოს დამოკიდებული უმუშევრობის დონეზე, როდესაც მოთხოვნის შოკი უფრო დომინანტურია, ხოლო მათ შორის დადებითი ურთიერთდამოკიდებულება ჩნდება

მაშინ, როდესაც მიწოდების მკვეთრ შოკებს აქვს ადგილი, მაგალითად, ნავთობის ფასის ძლიერი ზრდა, რასაც ეკონომიკა რეცესიულ მდგომარეობამდე მიჰყავს. შესაბამისად, ფილიპსის მრუდმა მოდიფიკაცია განიცადა და ეკონომიკურ ლიტერატურაში გაჩნდა ახალი კეინზიანური ფილიპსის მრუდი, რომელსაც მოდელირების ორი ფორმა გააჩნია: წმინდა და ჰიბრიდული. რობერტსის (1995) მოდელის<sup>4</sup> მიხედვით წმინდა ფორმით ახალი კეინზიანური ფილიპსის მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$\pi_t = \beta_1 \pi_{t+1}^e + \beta_2 X_t + \varepsilon_t,$$

სადაც  $\pi_t$  გამოსახავს ინფლაციის მიმდინარე მნიშვნელობას,  $\pi_{t+1}^e$  ინფლაციის მომავალი მოსალოდნელი დონეა,  $X_t$  რეალური ზღვრული დანახარჯების მაჩვენებელია (სადაც იგულისხმება შრომის ანაზღაურების წილი მთლიან შიდა პროდუქტში და არა უმუშევრობის დონე ან გამოშვების გაპი). გალისა და გერტლერის (1999) მიერ შემუშავებულ იქნა მოდელი, რომელსაც მათ ჰიბრიდული უწოდეს. ის იმით განსხვავდება წმინდა ვარიანტისგან, რომ მასში ჩართულია როგორც მომავალში მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი, ასევე ინფლაციის ლაგური მნიშვნელობებიც. ჰიბრიდული კეინზიანური მოდელი ასე გამოიყურება:

$$\pi_t = \beta_1 \pi_{t+1}^e + \beta_2 \pi_{t-1} + \gamma X_t + \varepsilon_t.$$

მომენტთა მეთოდით მოდელის შეფასების შედეგად გამოტანილია დასკვნა, რომ მომავალზე ორიენტირებული მიდგომა ბევრად მძლავრია, ვიდრე წარსულზე, ვინაიდან მოსალოდნელი ინფლაციის კოეფიციენტი აღემატება ლაგური ინფლაციის შესაბამის კოეფიციენტს.

ფილიპსის მოდელის კიდევ ერთ გაფართოებას წარმოადგენს ინფლაციის „სამკუთხა“ მოდელი<sup>5</sup>, რომელიც შემუშავებულ იქნა გორდონის (1997) მიერ. აღნიშნული მოდელის მიხედვით ინფლაცია სამი ფაქტორით განისაზღვრება: ე.წ ინერციით ანუ

<sup>4</sup> Roberts, J. (1995). “New Keynesian Economics and the Philips curve”

<sup>5</sup> Marika Karanassou, Hector Sala, Dennis J. Snower (2006): “Phillips Curves and Unemployment Dynamics: A Critique and a Holistic Perspective”

ინფლაციის ლაგური მნიშვნელობებით, მოთხოვნით და მიწოდებით. მოდელის ზოგად სპეციფიკაციას აქვს სახე:

$$\pi_t = \alpha(L)\pi_{t-1} + \beta(L)D_t + c(L)z_t + \varepsilon_t,$$

სადაც, ინფლაციის მიმდინარე მნიშვნელობა,  $\pi_t$ , განისაზღვრება მისი ლაგური მნიშვნელობით  $\pi_{t-1}$ , ჭარბი მოთხოვნით,  $D_t$ , და მიწოდების შოკებით,  $z_t$ .  $\varepsilon_t$  ასახავს სერიულად არაკორელირებულ შემთხვევით შეცდომას.  $L$  ძვრის ლაგური ოპერატორია. აღნიშნული მოდელის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მოიცავს ინფლაციის გრძელ ლაგს და იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნისა და მიწოდების შოკებს უგულვებელყოფთ, ინფლაციის მიმდინარე მნიშვნელობა მის ლაგურ მნიშვნელობებს გაუტოლდება. ჭარბი მოთხოვნის,  $D_t$ -ს, ჩამნაცვლებელ ცვლადად გამოიყენება უმუშევრობის გაპი და მისი ლაგური მნიშვნელობა, ასევე მწარმოებლურობის გაპი. საბოლოოდ მოდელი შეგვიძლია შემდეგი სახით ჩავწეროთ:

$$\pi_t = \alpha(L)\pi_{t-1} + \beta(L)(U_t - U_t^N) + c(L)z_t + \varepsilon_t$$

$$U_t^N = U_{t-1}^N + \varphi_t$$

$$E\varphi_t = 0, \text{var}(\varphi_t) = \tau^2$$

როგორც სხვა ტრადიციულ მოდელებში, აქაც ფილიპსის მრუდი არის უარყოფითად დახრილი მოკლევადიან პერიოდში და ვერტიკალური გრძელვადიან პერიოდში. აქვე მნიშვნელოვანია გამოვყოთ რამდენიმე შემთხვევა, რაც დროითი მწკრივების ცვლადების ბუნებიდან გამომდინარეობს:

1. თუ ინფლაცია არის პირველი რიგის ინტეგრირებადი პროცესი, ხოლო ჭარბი მოთხოვნა და მიწოდება ნულოვანი რიგის, დაბალანსებული განტოლება მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც  $\alpha=1$ .

2. ინფლაცია, მოთხოვნა და მიწოდება პირველი რიგის ინტეგრირებადი მწკრივებია, ამასთან ისინი არიან კოინტეგრირებულები. ასეთ შემთხვევაში მოდელი დინამიკურად სტაბილურია და  $\alpha$  მოდულით ერთზე ნაკლებია, მაშასადამე უმუშევრობის ბუნებრივი დონე არ არსებობს.

3. ყველა ცვლადი სტაციონარულია, მოდელიც სტაციონარულია, თუმცა უმუშევრობის ბუნებრივი დონე ისევ არ არსებობს.

წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ეკონომისტები ასკვნიან, რომ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებობს ინვერსიული დამოკიდებულება მოკლევადიან პერიოდში, თუმცა გრძელვადიან პერიოდში ისინი შესაძლოა დადებითად ურთიერთდამოკიდებულად კი გახდეს. Alfred A. Haug, Ian P. King (2011) ამერიკის შეერთებული შტატების 1952-2010 წლების ანალიზით ხსნიან გრძელვადიან დადებით კავშირს ინფლაციასა და უმუშევრობას შორის<sup>6</sup>.

ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორცაა ნიგერია, მკვლევარები წერენ რომ ქვეყანაში ადგილი აქვს როგორც უმუშევრობის დონის, ისე ინფლაციის ზრდას - „სტაგფლაციას“, შესაბამისად ეს პროცესი თითქოსდა უარყოფს ფილიპსის მოდელის არსებობას. Zayed et al. (2018) გატესტა ფილიპსის მრუდის არსებობა ფილიპინების რესპუბლიკაში 1950-2017 წლების მაგალითზე<sup>7</sup>. მან ერთმანეთს დაუკავშირა ინფლაციის დონე, უმუშევრობის დონე, მთლიანი შიგა პროდუქტი და წლიური სახელფასო განაკვეთი. მან გამოიყენა ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდი და იოჰანსენის გრძელვადიანი კონტეგრაციის ტესტმა აჩვენა, რომ ნამდვილად არსებობს გრძელვადიანი კავშირი ზემოაღნიშნულ ცვლადებს შორის, თუმცა აგრეთვე გამოიკვეთა, რომ ინფლაცია და უმუშევრობა დადებით დამოკიდებულებაშია, რაც იმას ადასტურებს, რომ ფილიპსის მრუდი ფილიპინების რესპუბლიკის ეკონომიკისთვის შეუსაბამოა.

აქვე აღსანიშნავია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2013 წელს შემუშავებული მოდელი<sup>8</sup>, რომელიც ეყრდნობოდა 21 წამყვანი ქვეყნის სტატისტიკას ინფლაციისა და ციკლური უმუშევრობის შესახებ 1960 წლიდან 2013 წლამდე. ნაშრომში შემუშავებულ მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$\pi_t = (1 - \theta)\pi_{t-1} + \theta\pi_t^e - ku_t + \gamma\pi_t^m + \varepsilon_t,$$

<sup>6</sup> Alfred A. Haug, Ian P. King, (2011). “Empirical evidence on inflation and unemployment in the long run”

<sup>7</sup> Zayed et al. (2018). “Testing Philips curve to examine the inflation rate regarding unemployment rate, annual wage rate and GDP of Philippines: 1950-2017”

<sup>8</sup> World Economic Outlook. (2013). “World Economic and Financial Surveys”. International Monetary Fund.

სადაც,  $\pi_t$  გამოსახავს ინფლაციის მიმდინარე დონეს,  $\pi_{t-1}$  არის ინფლაციის ლაგური მნიშვნელობა,  $\pi_t^e$  - ინფლაციის მოსალოდნელ დონეს,  $\pi_t^m$  - ასახავს იმპორტირებულ პროდუქტთა ინფლაციის დონეს,  $u_t$  - ციკლურ უმუშევრობას. როგორც მოდელში ვხედავთ ინფლაცია დამოკიდებულია როგორც ლაგურ ისე მოსალოდნელ მნიშვნელობაზე და  $\theta$  პარამეტრი ერთგვარ დამაბალანსებელს წარმოადგენს ლაგურ და მოსალოდნელ ცვლადებს შორის. მოდელში ჩართული იმპორტირებული პროდუქტის ინფლაციის მაჩვენებელიც საკმაოდ კარგ სპეციფიკაციას აძლევს მოდელს, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნის ინფლაციის დონე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებზე და ეს ფაქტორი აღნიშნულ შემთხვევაში გათვალისწინებულია. მოდელის შეფასების შედეგად საშუალება გვაქვს შევაფასოთ ინფლაციის მიმდინარე დონეზე რომელი ფაქტორს აქვს დომინანტური გავლენა: ინფლაციის ლაგურ მნიშვნელობას, მოსალოდნელ დონეს, უმუშევრობის ციკლურ მაჩვენებელს თუ მსოფლიოდან იმპორტირებულ ინფლაციის მაჩვენებელს.  $\varepsilon_t$  გამოსახავს მიწოდების მხრიდან არსებულ შოკებს. მოდელი შეფასდა მაქსიმალური დასაჯერებლობის მეთოდით კალმანის არაწრფივი ფილტრის გამოყენებით. ეკონომეტრიკული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა: ინფლაციის მგრძობელობა უმუშევრობის მიმართ მკვეთრად შემცირდა გასული რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. გარდა ამისა, გლობალური ინფლაციის გავლენა სხვადასხვა ქვეყნის ინფლაციის მაჩვენებელზე აღმავალი ტენდენციით გამოირჩეოდა. კიდევ ერთი მიგნება ის იყო, რომ ინფლაციის მიმდინარე დონესა და მის წარსულ მნიშვნელობას შორის დამოკიდებულება შესუსტდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფლაციური მოლოდინების მართვის გზით უკეთ იქნა გაკონტროლებული ინფლაციის მიმდინარე მნიშვნელობა. ფილიპსის მრუდი უფრო მეტად ბრტყელი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცენტრალურ ბანკებს მიეცათ მეტი თავისუფლება უფრო მკვეთრი რეაგირება მოახდინონ გამოშვების მისი მოსალოდნელი დონიდან გადახრაზე, ისე რომ მკვეთრად არ შეცვალონ ინფლაციის დონე. თუმცა, ინფლაციურ შოკებზე მკვეთრი გავლენის მოსახდენად მოუწევთ შეეგუონ გამოშვების დიდ მერყეობებს. ზოგადად, ემპირიული კვლევები ინფლაცია-უმუშევრობის დამოკიდებულების შესახებ

განსხვავებულ შედეგს გვიჩვენებს. შესაბამისად, მათ შორის ცალსახა დამოკიდებულების მტკიცებულება არ არსებობს. გარდა ამისა, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში დროის სხვადასხვა პერიოდში ინფლაცია-უმუშევრობას შორის კავშირი სხვადასხვაა. ინფლაციის დონებს შორის განსხვავება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზეც არის დამოკიდებული. ბალასა-სამუელსონის ჰიპოთეზის თანახმად, ინფლაციის დონე უფრო მაღალია განვითარებად, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, რაც განვითარებად ქვეყნებში პროდუქტიულობის უფრო სწრაფი ზრდით აიხსნება. ვაჭრობად ქვეყნებში პროდუქტიულობის ზრდას თან ახლავს ხელფასების ზრდა, რაც არავაჭრობად სექტორებსაც მოიცავს და საბოლოო ჯამში იწვევს ინფლაციის უფრო მკვეთრ ზრდას.

საქართველოში ამ თემის ირგვლივ ჩატარებული კვლევები ბევრი არ არის, თუმცა ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს ეროვნული ბანკის კვლევითი ნაშრომი<sup>9</sup>: „ფილიპსის მრუდის იდენტიფიკაცია საქართველოსთვის“. აღნიშნული კვლევის მიზანია ახსნას რამდენად შეესაბამება ფილიპსის მრუდი საქართველოს ეკონომიკას, შესაბამისად რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ინფლაციასა და უმუშევრობის დონეს შორის. მათ ფილიპსის მრუდი შეაფასეს GMM-ის და ARDL-ის გამოყენებით. მათ მიერ შემუშავებულ მოდელს აქვს სახე:

$$\pi_t = b_1\pi_{t-1} + b_2\pi_{t+1}^{exp} + \gamma mc_t + \varepsilon_t$$

სადაც  $\pi_t, \pi_{t-1}$ ,  $\pi_{t+1}^{exp}$  გამოსახავს ინფლაციის მიმდინარე, წარსულ და მომავალ მნიშვნელობებს,  $mc_t$  - ზღვრულ დანახარჯებს, ხოლო  $\varepsilon_t$  მიწოდების მხარეს არსებული შოკებია. ისინი მოდელში რთავენ არა მხოლოდ ინფლაციის მოლოდინებს, არამედ მის წარსულ მნიშვნელობებსაც, რაც მოდელის სპეციფიკაციას აუმჯობესებს. შედეგად ავტორები ასკვნიან, რომ საქართველოში ფილიპსის მრუდს აქვს დადებითი დახრილობა, თუმცა დახრის კუთხე ბევრად მცირეა, ვიდრე სტანდარტულ შემთხვევაში. დახრილობის კოეფიციენტი 0,1-ის ტოლია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა რაც აღნიშნული

<sup>9</sup> ლაშა არევაზე, თამთა სოფრომაძე, გიორგი ცუცქირიძე, შალვა მხატრიშვილი. (2020). *ფილიპსის მრუდის იდენტიფიკაცია საქართველოსთვის*, საქართველოს ეროვნული ბანკი კვლევითი ნაშრომების სერია.



კვლევიდან გამომდინარეობს ის არის, რომ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დანერგვამდე ინფლაცია უფრო მეტად იყო დამოკიდებული ლაგურ მნიშვნელობებზე, ხოლო თარგეთირების რეჟიმის დანერგვის შემდეგ კი ის უფრო მეტად არის მიბმული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მიზნობრივ მაჩვენებელზე. შესაბამისად, სრულიად ლოგიკურია ინფლაციის განმსაზღვრელ განტოლებაში როგორც ლაგური მნიშვნელობების, ისე ინფლაციური მოლოდინების გათვალისწინება.

ძალიან საინტერესო კვლევას გვთავაზობს ივანე ბარბაქაძე (2008) „ინფლაციის ახსნა საქართველოსთვის“ ნაშრომში<sup>10</sup>, სადაც ის 2004-2007 წლების ანალიზით ასკვნის რომ ინფლაციის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებია გაცვლითი კურსის ცვლილება, ფულის მიწოდება და ნომინალური ხელფასი. ის ვექტორული ავტორეგრესიის მოდელის საშუალებით ცდილობს ახსნას აღნიშნული დამოკიდებულება მოცემულ ცვლადებს შორის. კვლევის შედეგები გვიჩვენებს რომ გრძელვადიან პერიოდში გაცვლითი კურსის ცვლილებას საკმაოდ ძლიერი გავლენა აქვს ინფლაციაზე, კერძოდ ლარის გაცვლითი კურსის დოლარის მიმართ 1%-იანი გაუფასურება ინფლაციას 0.43%-ით ზრდის, ასევე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს ფულის მიწოდებასაც, ნომინალური ხელფასის კოეფიციენტი კი უარყოფითი და არამნიშვნელოვანია. მას მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში აქვს გავლენა ინფლაციაზე.

---

<sup>10</sup> Barbakadze. I. (2008). Explaining Inflation in Georgia: Do Exchange Rate and Nominal Wage Matter?

## 2. საქართველოს მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა

### 2.1 ინფლაცია, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები

ინფლაცია იმ ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს შორისაა, რომელთა სტაბილიზაცია მრავალი ქვეყნის მთავრობის გამოწვევაა. განსაკუთრებით, ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის როგორც საქართველოა, ინფლაციის მართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ინფლაცია - ტრადიციული გაგებით ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის დაცემაა, რომელიც მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის დიდი რაოდენობითაა გამოწვეული, თუმცა დღესდღეობით ინფლაცია ფასების საერთო დონის ზრდის სინონიმად გამოიყენება. ფასების სტაბილურობის მიღწევის პასუხისმგებლობა საქართველოში ეროვნული ბანკს აკისრია. მისი მიზანია საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია ისეთ დონეზე შეინარჩუნოს, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში მაღალ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას. სხვადასხვა მოდელებზე დაყრდნობით ის ცდილობს ინფლაციის სტაბილიზაციას. საქართველოს ეროვნული ბანკი 2009 წლიდან მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტად ინფლაციის თარგეთირებას იყენებს, რომელიც შედარებით ახალი პრაქტიკაა და წარმატებულად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში. აღნიშნული რეჟიმის მთავარი მიზანი ეროვნული ბანკის მიმართ ნდობის ამაღლება და შესაბამისად მოლოდინების სწორი მიმართულებით წარმართვაა. ის უდიდეს გავლენას ახდენს ინფლაციურ მოლოდინებზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს ქვეყანაში ხელფასების ფორმირებაზე. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს საშუალოვადიან მიზნობრივ მაჩვენებელს, რომელიც ეკონომიკისთვის სასურველ ინფლაციის დონეს ასახავს, შემდგომ კი მოლოდინებით ცდილობს შეინარჩუნოს ეს მაჩვენებელი. იგი აღნიშნული მაჩვენებლის დადგენისას მხედველობაში იღებს ქვეყნის განვითარების ზრდის ტემპს. ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, რომ ინფლაციის ნულოვან დონემდე შემცირებას თავისი დანახარჯები ახლავს და ეკონომიკურად გამართლებულიც არ არის, ვინაიდან ეს შესაძლოა სხვადასხვა პროდუქტზე დეფლაციასაც ნიშნავდეს, რასაც თავის მხრივ უარყოფითი შედეგები აქვს

ეკონომიკაზე. დეფლაციურმა პროცესმა შესაძლოა ქვეყანა რეცესიამდე მიიყვანოს, რაც ფასების შემცირებასთან ერთად ნიშნავს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას. 2014 წლისთვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენდა 6<sup>11</sup> პროცენტს, 2015-2016 წლებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 5 პროცენტამდე შემცირდა და დღესდღეობით ეროვნული ბანკის მიზანი ინფლაციური მაჩვენებლის 3%-იან ნიშნულამდე<sup>12</sup> სტაბილიზებაა. ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის გატარებისას ეყრდნობა არა ინფლაციის მიმდინარე მნიშვნელობას, არამედ საპროგნოზო მაჩვენებელს და ეკონომიკური აგენტების მოლოდინებს. შესაბამისად ის შეიმუშავებს ინფლაციის საპროგნოზო მოდელებს და იმ რისკებს ითვალისწინებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ფასების დონეზე. ეროვნული ბანკი ძირითადად მოთხოვნის შოკებზე ახდენს რეაგირებას, ვინაიდან მიწოდების შოკებზე რეაგირებას შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ეკონომიკაზე, კერძოდ შესაძლოა შეანელოს ეკონომიკური ზრდა და გაზარდოს უმუშევრობა. ის მხოლოდ მაშინ ახდენს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას, როდესაც ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი აღემატება მიზნობრივ დონეს. შესაბამისად მიმართავს ექსპანსიურ მონეტარულ პოლიტიკას დაბალი საპროგნოზო მაჩვენებლის შემთხვევაში. თუმცა ფულის მასაზე მოთხოვნის კონტროლის სირთულის გამო ამ ნიშნულის მიღწევა ხშირად თითქმის შეუძლებელია. სწორედ ამიტომ ეროვნული ბანკი ხშირად მკაცრ მონეტარულ მიდგომას იყენებს ინფლაციასთან გასამკლავებლად.

ინფლაციის გამოძწვევი ერთ-ერთი მიზეზია მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ზრდა, რაც თავის მხრივ შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტის მკვეთრი დეფიციტი აქვს და ეროვნული ბანკისგან იღებს სესხს ან იღებს საგარეო ვალს, რის შედეგადაც ირღვევა ერთგვარი წონასწორობა ფულის მასასა და საქონლისა და მომსახურების მასას შორის, რაც იწვევს ფასების ზრდას. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს სამხედრო ხარჯების ზრდას, რასაც სახელმწიფო ფულის ემისიით აფინანსებს. მზარდ ეკონომიკაში, როდესაც ადგილი აქვს წარმოების ზრდას, იზრდება ხელფასები, ხალხს

<sup>11</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს 2014-2016 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო მიმართულებების შესახებ.2013

<sup>12</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი

დამატებითი შემოსავალი უჩნდება, რაც მათ საშუალებას აძლევს ბევრად მეტი დახარჯოს, შედეგად იზრდება მოთხოვნა და მწარმოებლები იძულებულნი ხდებიან ფასები გაზარდონ რათა მოხდეს მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება. აღნიშნულს მოთხოვნის ინფლაციას უწოდებენ. ინფლაცია შესაძლოა წარმოების დანახარჯების ზრდით იყოს გამოწვეული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც იწვევს ინფლაციას არის ინფლაციური მოლოდინების ზრდა. ეკონომიკური აგენტები ზრდიან ინფლაციურ მოლოდინებს და თავიანთ გადაწყვეტილებებს აღნიშნულის გათვალისწინებით აყალიბებენ, შედეგად იზრდება ფასების დონე. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია იმპორტირებული ინფლაცია, რომელიც განსაკუთრებით გავლენას ახდენს იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებზე. ეკონომისტები ინფლაციის შემდეგ სახეებს გამოყოფენ: მცოცავი ინფლაცია - როდესაც ეკონომიკაში ფასების დონე სტაბილურად დაახლოებით 3%-ით იზრდება და აღნიშნული ზრდა ეკონომიკური ზრდისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. თუმცა აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი ყველა ქვეყნისთვის ერთი და იგივე არ არის და დაახლოებით 10% - მდე მერყეობს. ის განსხვავდება ქვეყნის განვითარების დონის მიხედვით. ჭეშნარი ინფლაცია - როდესაც ფასები 10 % -ზე მეტად იზრდება და რაც უფრო მაღალი ეს მაჩვენებელი, მით მეტი ინვესტორი არიდებს თავს ინვესტიციების განხორციელებას, უფრო მეტად კარგავს ეროვნული ბანკის სანდოობას და ეკონომიკაში იქმნება არასტაბილური გარემო. ჰიპერინფლაციის დროს კი ფასები რეკორდულად იზრდება, თუმცა ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა. დეფლაცია ინფლაციის საწინააღმდეგო მოვლენაა და ინფლაციაზე ნაკლებ სასურველი, ვინაიდან შესაძლოა ეკონომიკა რეცესიულ ზღვრამდე მიიყვანოს.

უამრავი მიზეზი არსებობს, თუ რატომ არის ინფლაციის დინამიკის შესწავლა ასეთი მნიშვნელოვანი. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ავხსნათ თუ რა უარყოფითი გავლენა აქვს მას ეკონომიკაზე. ინფლაცია ბევრ ეკონომიკურ დანახარჯთანაა დაკავშირებული. პირველ რიგში, ის იწვევს ფასების ხშირ ცვლილებას, რაც არასტაბილურ გარემოს ქმნის, ამასთან იწვევს დანაზოგების გაუფასურებას, ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის შემცირებას, საპროცენტო განაკვეთების ზრდას, რასაც კრედიტების გაძვირება მოსდევს,

ინვესტიციების შემცირებას, ეკონომიკიდან კაპიტალის გადინებას. მაღალი ინფლაცია ასევე ამცირებს მოხმარებას განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი საოჯახო მეურნეობებისთვის, ვინაიდან ისინი იძულებულნი არიან დაეყრდნონ ხელფასებს, პენსიებსა და იმ სოციალურ დახმარებებს, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს, შესაბამისად ისინი იტოვებენ აღნიშნულ თანხას ხელზე, ანუ ვერ დააბანდებენ მას რაიმე რეალურ აქტივებში. ვინაიდან ფულის მსყიდველობითუნარიანობა მცირდება, მცირდება მათი შემოსავალიც და მოხმარებაც. მაღალი ინფლაციის დროს რთულდება მომავლის დაგეგმვა და შესაბამისად მცირდება მოსახლეობის კეთილდღეობის დონეც. ინფლაცია განსაკუთრებით აზიანებს განვითარებად და იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებს, რადგან ამცირებს იმპორტირებულ პროდუქციას, რაც დამატებით სირთულეებს უქმნის მოსახლეობას. ინფლაციას სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს. მათ შორისაა მოთხოვნისა და მიწოდების შოკები და ინფლაციური მოლოდინები. ეროვნულ ბანკს შეუძლია მოთხოვნის მხარეს მოახდინოს გავლენა საპროცენტო განაკვეთის როგორც მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტის გამოყენების გზით, ასევე მას შეუძლია ინფლაციურ მოლოდინებზე იმოქმედოს, თუმცა მიწოდების მხარეს დგას ისეთი საგარეო შოკები, როგორცაა სტიქიური უბედურებები, მსოფლიო ფასების ცვლილება, ნავთობის ფასის ცვლილება და ასე შემდეგ, რაც კიდევ უფრო ართულებს ინფლაციის მართვას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ინფლაციის გაანგარიშებას ახორციელებს 1992 წლიდან<sup>13</sup>. ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო ფასების ინდექსის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს მომხმარებელთა მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფასების საშუალო დონის მაჩვენებელს საბაზო პერიოდთან შედარებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ გაანგარიშებულ ინფლაციის მაჩვენებელს გარკვეული ცდომილება ახასიათებს ანუ იმაზე მაღალ დონეს გვიჩვენებს, ვიდრე რეალურად. ამას გარკვეული მიზეზები აქვს: როგორც ცნობილია, სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშება ძირითადად ეყრდნობა საშუალო მომხმარებლის მიერ შეძენილ საქონელსა და მომსახურებას და არ

---

<sup>13</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ შესაძლოა მომხმარებელმა გაძვირებული პროდუქტი სხვა პროდუქტით ჩაანაცვლოს. მეორე ფაქტორი უკავშირდება საქონლისა და მომსახურების ხარისხის ცვლილებას, კერძოდ ფასთან ერთად ხშირად იზრდება პროდუქტის ხარისხი, თუმცა ინფლაციის მაჩვენებელი ასახავს მხოლოდ ფასს და ვერ ითვალისწინებს ხარისხის ზრდას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ ბაზარზე მუდმივად გამოდის ახალი პროდუქტი, რომელის ასახვა სამომხმარებლო კალათაში დაუყოვნებლივ ვერ ხდება და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ აისახება<sup>14</sup>. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით ინფლაციის მიმდინარე მაჩვენებელი შედარებით მცირედით ამახინჯებს რეალურ სურათს, თუმცა კვლავ ერთ-ერთ სარწმუნო მაჩვენებლად რჩება მაკროეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთათვის.

ბოლო რამდენიმე წელია საქართველოში მაკროეკონომიკური გარემო მეტნაკლებად სტაბილურია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს იმ ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვა, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებს განსაზღვრავს, მათ შორისაა მთლიანი შიგა პროდუქტის რეალური ზრდა, ინფლაცია, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები.


ქვეყნის ეკონომიკის ზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდით იზომება. როგორც გრაფიკ 2.1-ზე ვხედავთ, საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელი აღმავალი ტრენდით გამოირჩევა, თუ არ ჩავთვლით 2008 წლის ეკონომიკურ დაცემას, რომელიც ძირითადად აგვისტოს ომსა და მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს უკავშირდება, შედეგად კი 2009 წელს ფიქსირდება ზრდის უარყოფითი მაჩვენებლები. თუმცა 2012 წლიდან ზრდის ტემპი აჩქარდა და ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დიდი ზრდა 2017 წელს დაფიქსირდა 4.8%-ის ტოლი სიდიდით. 2019 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 5%-ს ასცდა. აღნიშნულ ზრდაში ძირითადი წვლილი როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ინვესტიციების ზრდამ შეიტანა. ასევე აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ საქართველო მეზობელ ქვეყნებთან შედარებით მაღალ ზრდას აღწევს.

---

<sup>14</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველო, როგორც პატარა ღია ეკონომიკის მქონე სახელმწიფო, ძალიან მგრძობიარეა გარეგანი შოკების მიმართ. ის დიდი ცვლილებები, რომლებიც ხდება მსოფლიო ეკონომიკაში ხშირად მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ჩვენს ეკონომიკაზე. გრაფიკი 2.2 ასახავს საბაზო და წლიური ინფლაციის დინამიკას საქართველოში 2004 წლიდან 2019 წლამდე კვარტლების მიხედვით. როგორც გრაფიკზე ვხედავთ, 2004 წლიდან მოყოლებული ინფლაციის პირველი ყველაზე დიდი ზრდა 2006 წლის II-III კვარტალში დაფიქსირდა, რაც ეროვნული ბანკის განმარტებით გამოწვეული იყო ისეთი გარეგანი შოკებით, როგორიცაა: ნავთობისა და შაქრის ფასების ზრდა, ფრინველის გრიპი, ელექტროენერჯისა და გაზის გაძვირებული ფასები, მეტეოროლოგიური პირობები და ა.შ.<sup>15</sup>

გრაფიკი 2.1: საქართველოს ეკონომიკური ზრდა, 2008-2019 წწ.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2009 წლიდან იწყება დეფლაცია, რომელიც მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს უკავშირდება. 2010 წლიდან დაიწყო ფასების მკვეთრი ზრდა, კერძოდ ბოლო ორ კვარტალში ინფლაციის ზრდის ტემპი განსაკუთრებით დაჩქარდა და ბოლო კვარტალში

<sup>15</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი „ინფლაციის კვარტალური მიმოხილვა“ (2016)

10%-ს გადააჭარბა. აღნიშნული ზრდის მთავარი წყარო ისევ და ისევ გარეგანი შოკები გახდა, კერძოდ, მსოფლიო ფასების მკვეთრი მატება. 2019 წლის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელი 7%-ული პუნქტით განისაზღვრა, რომელიც გამოწვეული იყო როგორც თამბაქოს ნაწარმზე აქციზური გადასახადის ზრდით, ისე გაცვლითი კურსის გაუფასურებით<sup>16</sup>. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია, მსოფლიო ფასების ცლილება ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოში ინფლაციის დონეზე. ბოლო წლებში ინფლაციის დონე მეტ ნაკლებად სტაბილურობას ინარჩუნებს და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მაჩვენებლის ფარგლებში მერყეობს.

გრაფიკი 2.2: წლიური და საბაზო ინფლაცია საქართველოში 2004-2019 წწ.



\*საბაზო ინფლაცია არ ითვალისწინებს სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს.


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<sup>16</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი „ინფლაციის კვარტალური მიმოხილვა“ (2019)



ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს ანალიზისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ანალიზი. საქართველოში ინფლაციის თარგეთირების დანერგვის შემდეგომ მცურავი სავალუტო კურსი მოქმედებს, რაც იმას გულისხმობს, რომ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი სხვა ვალუტებთან მიმართებაში დგინდება სავალუტო ბაზრის მიერ, რომელშიც მოიაზრება კომერციული ბანკები, ასევე ის ინდივიდები, რომლებიც სავალუტო ბაზარზე ვაჭრობენ. ეკონომისტთა აზრით გაცვლითი კურსი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გავლენის მქონეა ფასების დინამიკაზე, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში. ეს ერთი მხრივ იმით აიხსნება, რომ საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა და ამასთან მაღალია დოლარიზაციის მაჩვენებელი. მოკლევადიან პერიოდში გაცვლით კურსზე ძირითადად გავლენა აქვს სავალუტო ბაზრის მონაწილეთა მოლოდინებს, ხოლო საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორებს: ექსპორტ-იმპორტის დინამიკას, უცხოური ინვესტიციებს, ტურისტული შემოდინებებს და წმინდა უცხოურ ტრანზაქციებს. ეკონომისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ასევე გაიზარდა ინფლაციაზე ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურების გავლენა<sup>17</sup>.

გრაფიკი 2.3: ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკა საქართველოში 2004-2019 წწ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<sup>17</sup> პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკისი. მე-2 შეესებული დაგანახლებული გამოცემა. თსუ, 2020

## 2.2 უმუშევრობის დონე და NAIRU

უმუშევრობის დონე ეკონომიკური აქტივობის უმნიშვნელოვანესი საზომია. ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს უმუშევრობის გარკვეული დონე, რომელიც გარდაუვალია. უმუშევრობის შესახებ თეორიებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უმუშევრობის ბუნებრივი დონის შესახებ თეორიას. უმუშევრობის ბუნებრივი დონე ასახავს სრული დასაქმების მდგომარეობას. როგორც წესი, ის ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამია. ფრიქციული უმუშევრობა უკავშირდება სიტუაციას, როდესაც დასაქმებულები იცვლიან სამუშაო ადგილებს, გადადიან ერთი დარგიდან მეორეში და ეს სრულიად ბუნებრივი მდგომარეობაა. ფრიქციული უმუშევრობა ძირითადად ხანმოკლე პერიოდს უკავშირდება. მისგან განსხვავებით სტრუქტურული უმუშევრობის დროს ყალიბდება გარკვეული შეუსაბამობა სამუშაოს მაძიებლებსა და დამსაქმებლებს შორის. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს გეოგრაფიული ფაქტორებით, უნარ-ჩვევების ცვალებადობით და სხვა მრავალი ფაქტორით. ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს ციკლური უმუშევრობა, როდესაც მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე მკვეთრად ეცემა და შესაბამისად მცირდება მოთხოვნა შრომაზე.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე თავის მხრივ არ წარმოადგენს რაღაც დადგენილ მაჩვენებელს, ის ვარირებს გარკვეულ საზღვრებში და მის ცვლილებას ასევე განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორები, როგორცაა: დემოგრაფიული ცვლილებები, სახელმწიფო პოლიტიკა, ცვლილებები პროდუქტიულობის ზრდაში და ა.შ. თავის მხრივ უმუშევრობის ბუნებრივი დონე მჭიდრო კავშირშია გამოშვების ბუნებრივ მოცულობასთან. ეკონომიკის უნარი აწარმოოს საქონელი და მომსახურება დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე: კაპიტალის მოცულობა, სამუშაო ძალის რაოდენობა და ტექნოლოგიის დონე. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ გამოშვების პოტენციურ დონეს. თუმცა სხვადასხვა ფაქტორების გავლენით შესაძლოა გამოშვების ფაქტობრივი დონე ბუნებრივი დონიდან გადაიხაროს. კერძოდ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გატარებისას გამოშვების ფაქტობრივმა დონემ შესაძლოა გადააჭარბოს ბუნებრივს. ეს გამომდინარეობს იქიდან რომ მზარდი მოთხოვნის პირობებში ფირმები ცდილობენ მაქსიმალურად გაზარდონ წარმოება,

რათა მოხდეს მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება. მოკლევადიან პერიოდში მათ არ აქვთ შესაძლებლობა ააშენონ ახალი საწარმოები, ანუ გაზარდონ კაპიტალის მოცულობა, თუმცა შეუძლიათ გაზარდონ შრომის რაოდენობა. ამასთან შრომაზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში, მომუშავეები მოითხოვენ მაღალ ხელფასებს. თავის მხრივ ხელფასების ზრდა საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდას გამოიწვევს. საწინააღმდეგო ცვლილებები ხდება მაშინ, როდესაც პოტენციური გამოშვება ბუნებრივ დონეს ქვემოთაა. ამ შემთხვევაში ფირმები ამცირებენ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და შესაბამისად წარმოების დანახარჯების შემცირების კვალობაზე მცირდება საქონლისა და მომსახურების ფასებიც. უმუშევრობის გაპი წარმოადგენს სხვაობას უმუშევრობის ფაქტობრივ დონესა და ე.წ NAIRU-ს ანუ პოტენციურ უმუშევრობას შორის, რომელიც არ იწვევს ინფლაციურ წნეხს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, NAIRU-ს გაანგარიშება საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ერთგვარად მაპროგნოზირებელ როლს ასრულებს. კერძოდ, როდესაც უმუშევრობა მის ბუნებრივ დონეს აღემატება, მოსალოდნელია ინფლაციის შემცირება, ხოლო როდესაც ბუნებრივ დონეზე მაღალია, მოსალოდნელია ინფლაციის ზრდა. შესაბამისად მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებმა არ უნდა მოადუნონ ყურადღება უმუშევრობის გაპის დინამიკაზე. NAIRU-ს გაანგარიშების რამდენიმე მეთოდი არსებობს. თუ ჩავთვლით, რომ ის ფიქსირებული და მუდმივია მაშინ შეგვიძლია მარტივად განვსაზღვროთ ფილიპსის მოდელიდან გამომდინარე.

$$\Delta\pi = a(U^* - U) + v,$$

სადაც  $U^*$  - უმუშევრობის ბუნებრივი დონე - მუდმივი სიდიდეა, ფაქტობრივი მაჩვენებელი კი არ არის კორელაციაში მიწოდების შოკის მაჩვენებელთან -  $v$ . მაშასადამე კოეფიციენტი  $a$  გამოსახავს უმუშევრობის ბუნებრივი დონის შეფასებას. თუმცა ეკონომისტთა ნაწილი აკრიტიკებს აღნიშნულ მიდგომას და თვლის რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე არ არის მუდმივი და ის დროსთან ერთად განიცდის მცირედ ცვლილებას. კიდევ ერთ მიდგომას NAIRU-ს გასაანგარიშებლად წარმოადგენს ჰოდრიკ პრესკოტის ფილტრი (HP) რომელიც გამოყოფს ტრენდულ და ციკლურ კომპონენტებს უმუშევრობის დინამიკაში. მისი ერთ-ერთი ნაკლოვანება ის არის, რომ მხოლოდ

უმუშევრობის დონის მაჩვენებლებს ეყრდნობა. კიდევ ერთი მიდგომა კალმანის ფილტრის გამოყენებას ეფუძნება, რომლის მიხედვით ხდება ქცევითი განტოლებების გამოყენება. NAIRU-ს მნიშვნელობა ასახავს როგორც უმუშევრობის, ისე ინფლაციის განვითარებას. იგი მოდელირებულია, როგორ შემთხვევითი ხეტიალი. სტოქსასტური ტრენდი არის კიდევ ერთი მეთოდი დროში ვარიირებადი NAIRU-ს შესაფასებლად. NAIRU-ს გაანგარიშების კიდევ ერთი მეთოდი გულისხმობს ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით ინფლაციის პროცენტული ცვლილებით უმუშევრობის ბუნებრივი დონის გაანგარიშებას მოცემული მოდელის გამოყენებით:

$$\Delta\pi_t = \alpha + \beta * U_{t-1}$$

საქართველოს ეკონომიკისთვის NAIRU-ს გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ 2004 წლიდან 2019 წლამდე ინფლაციისა და უმუშევრობის კვარტალური მონაცემები. შეფასების შედეგად მივიღეთ შემდეგი სახის დამოკიდებულება:

$$\Delta\pi_t = 2.23 - 0.1565U_{t-1}$$

$$DW=1.56 \quad R^2=1.2\%$$

აქედან  $NAIRU = \frac{2.23}{0.1565} = 14,25\%$  რაც იმას ნიშნავს რომ უმუშევრობის დონე, როდესაც ინფლაცია იქნება სტაბილური შეადგენს 14,25%-ს.

ჯაჭვური რეაქციის თეორია უმუშევრობის ბუნებრივი დონის თეორიისგან იმით განსხვავდება, რომ ეფუძნება რამდენიმე რეალური და ნომინალური ცვლადების შემცველ დინამიკურ განტოლებებს და საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ეგზოგენური შოკების გავლენა თითოეულ ნომინალურ თუ რეალურ ცვლადებზე. შესაბამისად აღნიშნული თეორია იყენებს მრავალგანტოლებიან სისტემას, იმისათვის რომ გააანალიზოს უმუშევრობის დონის ტრაექტორია. იმისათვის რომ გამოვყოთ უმუშევრობის ლაგური მნიშვნელობები და ეგზოგენური ცვლადები, მოთხოვნისა და მიწოდების განტოლებები ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$(1 - \alpha_1 L)(1 - \alpha_2 L)n_t = \beta_1(1 - \alpha_2 L)k_t - \gamma_1(1 - \alpha_2 L)w_t$$

$$(1 - \alpha_1 L)(1 - \alpha_2 L)I_t = \beta_2(1 - \alpha_2 L)z_t - \gamma_2(1 - \alpha_1 L)w_t$$

სადაც  $L$  ლაგური ოპერატორია.  $n_t$  ასახავს დასაქმების დონეს,  $I_t$  სამუშაო ძალის მოცულობას,  $k_t$  – კაპიტალი,  $z_t$  შრომის ასაკის მაჩვენებელია<sup>18</sup>.

სხვადასხვა გარდაქმნებით მოდელი დაიყვანება შემდეგ სახეზე:

$$u_t = \varphi_1 u_{t-1} - \varphi_2 u_{t-2} - \theta_0^k k_t + \theta_0^z z_t + \theta_0^x x_t + \theta_1^k k_{t-1} - \theta_1^z z_{t-1} - \theta_1^x x_{t-1}$$

რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განასხვავებს ჯაჭვური რეაქციის თეორიას ჩვეულებრივი ბუნებრივი დონის თეორიისგან. პირველი, ის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს უმუშევრობის ლაგური მაჩვენებლებისა და გარეგანი შოკების. მეორე, მთავარი განმასხვავებელი ის არის, რომ კაპიტალის მოცულობა გავლენას ახდენს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან უმუშევრობის დონეზე. როგორც ჩვენთვის ცნობილია, უმუშევრობის ბუნებრივი დონის თეორიიდან კაპიტალის მოცულობის ცვლილებას მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში აქვს გავლენა გამოშვებაზე, იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოებს გარკვეული დრო სჭირდებათ ახალი ქარხნებისა და საწარმოების ასაშენებლად და შემდეგ წარმოების გასაზრდელად, რასაც ახალი სამუშაო ძალის დაქირავება მოსდევს და უმუშევრობის დონეც მცირდება, თუმცა ეს დროში ხანგრძლივი პროცესია. კიდევ ერთი განმასხვავებელი ის არის, რომ ჯაჭვური რეაქციის თეორია აფიქსირებს მუდმივ და დროებით შოკებს და განსაზღვავს ზომებს, რომელიც უნდა გატარდეს ამ შოკებთან გასამკლავებლად. უმუშევრობის ბუნებრივი დონის თეორია თავისი ერთგანტოლებიანი მოდელით ვერ აფიქსირებს მუდმივ შოკებს ეგზოგენური ცვლადების სტაციონარული ბუნებიდან გამომდინარე.

უმუშევრობა საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად გადასაწყვეტი პრობლემაა. საქართველოში უმუშევრობის დონის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2009 წელს დაფიქსირდა და 18.3%<sup>19</sup> შეადგინა, მას შემდეგ აღნიშნული მაჩვენებელი კლებადი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყველაზე პრობლემატურ საკითხად სწორედ უმუშევრობას ასახელებს. ეს პრობლემა გაცილებით

<sup>18</sup> Marika Karanassou, Hector Sala, Dennis J. Snower (2006): “Phillips Curves and Unemployment Dynamics: A Critique and a Holistic Perspective”

<sup>19</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მწვავედ დგას, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ეს შესაძლოა იმითაა განპირობებული, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაანგარიშებული უმუშევრობის დონე სრულად ვერ ასახავს ქვეყანაში დასაქმების პრობლემას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური უმუშევარს განმარტავს შემდეგნაირად: 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.<sup>20</sup> აქ იგულისხმება, რომ ის უგულვებელყოფს იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ დასაქმება მაგრამ სხვადასხვა მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ ახერხებენ ამას. შესაბამისად დარეგისტრირებულ უმუშევრებთან შედარებით ფაქტობრივ უმუშევართა რიცხვი გაცილებით დიდია. ამას ემატება საქართველოს მოქალაქეების ის ნაწილი, რომელთაც სამუშაო ადგილების სიმცირის გამო უცხოეთს შეაფარეს თავი.

გრაფიკ 2.4-ზე გამოსახულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაანგარიშებული უმუშევრობის დონე საქართველოში 2004-2019 წლებში. როგორც გრაფიკზე ვხედავთ, უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2008-2009 წლებში, რაც აგვისტოს ომს და მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს უკავშირდება. მას შემდეგ უმუშევრობის მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, შემცირების ტემპი უფრო მეტად დაჩქარდა 2017 წელს, ხოლო 2019 წელს მისი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 11.6 % დაფიქსირდა. უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2019 წელს ფიქსირდება 20 დან 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, რაც იმითაა განპირობებული, რომ ახალგაზრდებს დრო სჭირდებათ სწავლის დასასრულებლად, რათა სწორედ იმ მიმართულებით დასაქმდნენ, რა მიმართულებითაც მიიღეს განათლება.


არანაკლებ მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ინდიკატორს წარმოადგენს დასაქმების დონე. საქართველოში დასაქმების ძირითად წყაროს კერძო სექტორი წარმოადგენს. უმუშევრობის დონის შემცირება ავტომატურად არ ნიშნავს დასაქმების მოცულობის

---

<sup>20</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სამუშაო ძალის გამოკვლევა“

ზრდას, რადგან შესაძლოა უმუშევართა უმეტესობა ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობის კატეგორიაში გადავიდეს. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ დასაქმების დონეს 2015 წლიდან


გრაფიკი 2.4.: უმუშევრობის დონის დინამიკა საქართველოში, 2004-2019 წწ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შემცირების ტენდენცია აქვს, მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონეც იკლებს აღნიშნულ მონაკვეთში, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბოლო წლებში სულ უფრო მეტი ადამიანი ხდება ე.წ იმედდაკარგული მუშახელი“ ან ემიგრანტი. 2016 წელს მცირდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა. დასაქმების დონის მინიმალური ნიშნულები კვლავ ომის პერიოდს უკავშირდება.

გრაფიკი 2.5.: დასაქმების დონე საქართველოში 2004-2019 წწ.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

### 3. ინფლაციისა და უმუშევრობის ურთიერთდამოკიდებულების შეფასება

საინტერესოა საქართველოს ეკონომიკისთვის ფილიპსის მრუდის მარტივი მოდელის აგება. ამისათვის გამოვიყენებთ ინფლაციისა და უმუშევრობის კვარტალურ მაჩვენებლებს 1998-2019 წლებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უმუშევრობის დონის კვარტალური სტატისტიკის შეზღუდულობის გამო 2015-2017 წლებში, მოვახდინეთ წლიური მაჩვენებლების დაყვანა კვარტალურ მაჩვენებლებზე, ისე რომ მათი საშუალო გამოსულიყო წლიური უმუშევრობის დონე. ამის შემდეგ იქიდან გამომდინარე, რომ ფილიპსის მოდელი გულისხმობს ინფლაციის კავშირს უმუშევრობის გაპთან და ვინაიდან უმუშევრობის ბუნებრივი დონის შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, გამოვიყენეთ ჰოდრიკ პრესკოტის ფილტრი (HP). შემდეგ გამოვითვალეთ უმუშევრობის გაპი, როგორც სხვაობა ფაქტობრივ მნიშვნელობებსა და ფილტრით მიღებულ ცვლადებს შორის. შედეგად მივიღეთ უმუშევრობის გაპის მნიშვნელობები.

საწყის ეტაპზე საინტერესოა, შევაფასოთ კავშირი დადებითია თუ უარყოფითი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. ამისათვის განვიხილოთ ცვლადთა კორელაციური მატრიცა, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი 3. 1: ინფლაციისა და უმუშევრობის კორელაციური მატრიცა

	INF	UNEM
INF	1.0000000	-0.005623
UNEM	-0.005623	1.0000000


კორელაციური მატრიცის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დამოკიდებულება მცირედით მაგრამ მაინც უარყოფითია. ახლა კი შეგვიძლია გადავიდეთ უშუალოდ ფილიპსის საწყისი მოდელის აგებაზე.

მოდელის სპეციფიკაციამდე უნდა შევაფასოთ არის თუ არა მწკრივები სტაციონარული ან კოინტეგრირებადი. მწკრივების სტაციონარულობის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან არასტაციონარული მწკრივებით ჩატარებულ



ანალიზს ე.წ ცრუ რეგრესიამდე მივყავართ, სადაც შედეგები იქნება არარეალური, დეტერმინაციის მოჩვენებითად მაღალი მნიშვნელობით და გადაადგილებული t სტატისტიკებით. როგორც თეორია გვეუბნება, სტაციონალური მწკრივი საშუალოს ირგვლივ ირხევა სასრული დისპერსიით, ხოლო არასტაციონალური დროითი მწკრივი ხანგრძლივად დაეხეტება<sup>21</sup>. გრაფიკული ანალიზი ზუსტი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ გვაძლევს, ამიტომ უმჯობესია მივმართოთ გაფართოებულ დიკი ფულერის (ADF) ტესტს. ორივე შემთხვევაში ნულოვანი ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ ცვლადები შეიცავს ერთეულოვან ფესვს ანუ ისინი არ არიან სტაციონარულები.

გრაფიკი 3.1: ინფლაციისა და უმუშევრობის გაპის დინამიკის გრაფიკული ანალიზი



ტესტის შედეგები მოცემულია ცხრილ 3.2-ში:

ცხრილი 3.2.: ADF ტესტის შედეგები

Level (0)	t სტატისტიკა	P value
INF	-3.508655	0.0101
UNEGAP	-4.495530	0.0004

მიღებული შედეგი გვიჩვენებს, რომ საანალიზო 1998-2019 პერიოდისთვის ინფლაცია, ისევე როგორც უმუშევრობის გაპი, სტაციონარული მწკრივებია. შესაბამისად,

<sup>21</sup> ანანიაშვილი, ი. (2018). დროითი მწკრივების ანალიზი.

შესაძლებლობა გვაქვს ისინი ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდით შევაფასოთ. ვაფასებთ შემდეგი სახის მოდელს:

$$Inf = \alpha + \beta_1 Inf_{-1} + \beta_2 ungap + \varepsilon$$

შეფასებულ მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$Inf = 1.245381 + 0.498278 Inf_{-1} - 0.006 ungap$$

P values:            0.0144            0.000            0.9816

$R^2 = 0.6$              $DW = 1.29$ .

როგორც მოდელი გვიჩვენებს, ინფლაციის ამხსნელი ცვლადებიდან მისი ლაგური მნიშვნელობა მნიშვნელოვანი ცვლადია, ასევე მოდელის სიზუსტეს აუმჯობესებს თავისუფალი წევრის ჩართვა, თუმცა უმუშევრობის გაპი არამნიშვნელოვანი ცვლადია. მიუხედავად ამისა, მისი ნიშანი გვიჩვენებს რომ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება.  $R^2$  - ის მნიშვნელობა გვიჩვენებს რომ მოდელის ამხსნელი ძალა 60 %-ს შეადგენს, თუმცა დარბინ-უოტსონის დაბალი მაჩვენებელი იმის მანიშნებელია, რომ მოდელში გვაქვს ავტოკორელაცია, რაც უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებული მოდელის ვერიფიკაციისთვის სტანდარტული ტესტების გამოყენებას არავალიდურს ხდის. ამის მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ მოდელის შეფასებული კოეფიციენტები ინარჩუნებენ გადაუადგილებლობის მნიშვნელოვან თვისებას.

მოდელში ავტოკორელაციის არსებობის ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს მოდელის არასწორი სპეციფიკაცია, რომელიც ამ შემთხვევაში გულისხმობს არასაკმარისი რაოდენობის ლაგური ცვლადების ჩართვას. თუ გავითვალისწინებთ ადაპტური მოლოდინების თეორიას და ინფლაციის ლაგურ მნიშვნელობებს გავზრდით მოდელში, მივიღებთ შემდეგი სახის შესაფასებულ მოდელს:

$$INF_t = \beta_1 INF_{t-1} + \beta_2 INF_{t-2} + \beta_3 INF_{t-3} + \beta_4 INF_{t-4} + \beta_5 INF_{t-5} + \beta_6 UNEMGAP_t + \varepsilon_t$$

ამ უკანასკნელის შეფასებით მიღებული შედეგები და შესაბამისი სტატისტიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილ 3.3-ში. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს მოდელი თავისუფალია ავტოკორელაციისა და ჰეტეროსკედასტურობის პრობლემისგან. მისი

ინტერპრეტაცია კი ასე გამოიყურება. ინფლაციის მიმდინარე მაჩვენებელი მნიშვნელოვან-წილად განისაზღვრება მისი წარსული მნიშვნელობებით. ამასთან, მოდელში უმუშევრობის გაპი სტატისტიკურად მნიშვნელოვან ცვლადად გვევლინება. მისი ნიშანი თანხვედრაშია ეკონომიკურ თეორიასთან, რომლის მიხედვით ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებობს უარყოფითი ურთიერთდამოკიდებულება. კერძოდ, უმუშევრობის ფაქტობრივი დონის მისი ბუნებრივი მდგომარეობიდან 1%-ით გადახრა მოკლევადიან პერიოდში იწვევს ინფლაციის ცვლილებას (შემცირებას) 0.44%-ით. თუ ჩავთვლით, რომ მოდელი სწორედ არის სპეციფიცირებული, მაშინ ცხრილ 3.3-ში მოყვანილი მონაცემებით შეგვიძლია შევაფასოთ, უმუშევრობის დონის ცვლილების გავლენა ინფლაციაზე გრძელვადიან პერიოდში. ამისათვის უნდა გამოვთვალოთ გრძელვადიანი მულტიპლიკატორი, რომელსაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შემდეგი სახე აქვს:

$$\delta = \frac{\beta_6}{1 - \beta_1 - \dots - \beta_5} = \frac{-0,448}{0,0635} = -7,0551.$$

მაშასადამე, მივიღეთ, რომ განხილული მოდელის თანახმად ადაპტური მოლოდინების პირობებში უმუშევრობის ზრდის გრძელვადიანი ეფექტი გაცილებით მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს და უმუშევრობის დონიდან ერთი პროცენტული პუნქტით გადახრამ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია შეიძლება 7%-ით შეამციროს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შედეგი არადამაჯერებლად მიგვაჩნია და მის გამომწვევ ერთ-ერთი მიზეზად ვთვლით მოდელის არასრულყოფილ სპეციფიკაციას.

ცხრილი 3.3: განაწილებულ ლაგიანი მოდელის სტატისტიკური მახასიათებლები

დამოკიდებული ცვლადი INF	კოეფიციენტი	t სტატისტიკა	P მნიშვნელობა
INF(-1)	1.2085	15.1107	0.0000
INF(-2)	-0.476	-3.6793	0.0004
INF(-3)	0.312	2.313	0.0234

INF(-4)	-0.598	-4.661	0.0000
INF(-5)	0.49	6.218	0.0000
UNEMGAP	-0.448	-2.297	0.0243

$R^2 = 0.81$   $DW = 1.72$

ფილიპსის საწყისი მოდელის შეფასებამ გვიჩვენა, რომ ინფლაციის განმსაზღვრელ ფაქტორთა რიცხვი უნდა გავზარდოთ და, შესაბამისად, განვიხილოთ მოდელი უფრო მეტი ფაქტორული ცვლადით. მოდელის სპეციფიკაციისთვის შესაბამისი ცვლადების შერჩევას ვიხელმძღვანელებთ ლიტერატურაში გამოყენებული ძირითადი მიდგომებით საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით. ინფლაცია შეგვიძლია წარმოვადგინოთ სამი შემადგენელი ნაწილის სახით: ხელფასების ინფლაცია, მონეტარული ინფლაცია და იმპორტირებული ინფლაცია. ახლა კი შევეცდებით ისეთი ცვლადების გამოყენებას, რომელიც თითოეული ამ სამი წყაროდან მომდინარეობს. შევაფასებთ ინფლაციის სამკუთხა მოდელს, სადაც მიწოდების შოკების მაჩვენებელი იქნება რეალური გაცვლითი კურსი, რომელიც ერთგვარად იმპორტირებული ინფლაციის მაჩვენებლად გვევლინება. მონეტარული ინფლაციის საზომად განვიხილავთ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მაჩვენებელს. გარდა ამისა, ინფლაციის დინამიკაზე მოქმედ ფაქტორთაგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლადად განვიხილავთ მის ლაგურ მნიშვნელობებს. დაბოლოს, ფილიპსის მრუდის თავისებურების გასათვალისწინებლად მოდელში ჩავრთავთ უმუშევრობის გაპს. შესაფასებელ მოდელში, რომელსაც შემდეგი სახე აქვს

$$INF = \beta_0 + \beta_1 LAGINF + \beta_2 UNEMGAP + \beta_3 INT + \beta_4 NEER + \varepsilon_t, \quad (3.1)$$

თითოეულ ცვლადს შემდეგი აღნიშვნა შეესაბამება:

- INF - წლიური ინფლაციის დონე
- UNEMGAP - უმუშევრობის გაპი (ფაქტობრივი დონის გადახრა ბუნებრივი მდგომარეობიდან)
- NEER - ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი

- INT - საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით აღებულ სესხებზე.

ზოგადად ნომინალური გაცვლითი კურსის არჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ის ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფასების დინამიკაზე. ნაშრომში „ინფლაციის ახსნა საქართველოში“ ივანე ბარბაქაძე ასკვნის, რომ გაცვლითი კურსის 1%-იანი გაუფასურება იწვევს სამომხმარებლო ფასების 0.28%-ით ზრდას, გრძელვადიან პერიოდში კი ის კიდევ უფრო მგრძობიარე ხდება კურსის დაცემის მიმართ - შესაბამისად, ფასების დონე 0.43 %-ით იზრდება. აღნიშნული ცვლადის გამოყენების კიდევ ერთი მიზეზი ის, არის, რომ საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა და აგრეთვე მაღალი დოლარიზაციით გამოირჩევა. მოდელში ასევე ჩართული გვაქვს ეროვნული ვალუტით აღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებელი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეროვნული ბანკი რეფინანსირების განაკვეთის მეშვეობით ახდენს გავლენას სასესხო საპროცენტო განაკვეთებზე, კერძოდ როდესაც ადგილი აქვს ინფლაციის მაღალ დონეს, იგი ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას და მაღლა სწევს საპროცენტო განაკვეთს. შედეგად სესხი ძვირდება, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა მცირდება, რაც ერთობლივი მოთხოვნის შემცირების და ფასების ზრდის შეანელების პირობა ხდება. სანამ მოდელის სპეციფიკაციაზე გადავალთ განვიხილოთ როგორ სტატისტიკურ დამოკიდებულებაში იმყოფება მოდელში ჩასართავი თითოეული ამხსნელი ცვლადი ერთმანეთთან და შედეგობრივ ცვლადთან (იხ. ცხრილი 3.4).

ცხრილი 3.4: დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების კორელაციური მატრიცა

	INF	LAGINF	NEER	UNEMGAP	INT
INF	1.000000	0.778799	-0.478	0.098278	0.0566
LAGINF	0.778799	1.000000	-0.4101	0.128211	0.1088
NEER	-0.478	-0.4101	1.000000	-0.059810	-0.603
UNEMGAP	0.098278	0.128211	0.0583	1.000000	0.023
INT	0.0566	0.1088	-0.603	0.023	1.000000

ცხრილი 3.4. გვიჩვენებს რომ ინფლაციის მიმდინარე მნიშვნელობასთან განსაკუთრებით ძლიერ დამოკიდებულებაში იმყოფება მისი წინა ლაგური მნიშვნელობა. ასევე მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირშია ინფლაციასა და ნომინალური გაცვლითი კურსის მაჩვენებელს შორის. ცხრილი 3.4 საინტერესო ინფორმაციას იძლევა ამხსნელი ფაქტორული ცვლადების კავშირურთიერთობის შესახებაც. როგორც ვხედავთ, ფაქტორულ ცვლადებს შორის არსებული კორელაციის კოეფიციენტებიდან არცერთი არ არის 0.8-ზე მეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფაქტორების განხილვის შემთხვევაში არ წავაწყდებით მულტიკოლინიარობის პრობლემას, რომელისთვისაც დამახასიათებელია შემდეგი გარემოებები:

1. რეგრესიის კოეფიციენტთა შეფასებები ძალზე მგრძობიარე ხდება საწყისი მონაცემების მცირე ცვლილების მიმართ;
2. ზოგიერთი კოეფიციენტის შეფასებას თეორიულად არასწორი ნიშანი ან აბსოლუტური სიდიდით გაუმართლებლად მაღალი მნიშვნელობა შეესაბამება;
3. რეგრესიის კოეფიციენტების შეფასება არამნიშვნელოვანია, მაშინ როცა მთლიანობაში განტოლება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.<sup>22</sup>

ვინაიდან ჩვენი მოდელის შესაფასებლად განხილული ცვლადების მონაცემები თავისი არსით დროით მწკრივებს წარმოადგენენ, მიზანშეწონილია შევამოწმოთ ისინი სტაციონარულობაზე. დროით მწკრივი სტაციონარულია ფართო გაგებით, როდესაც მისი მახასიათებლები, როგორცაა მათემატიკური ლოდინი და დისპერსია დროში მუდმივია, ხოლო ავტოკოვარიაცია (ავტოკორელაცია) დამოკიდებულია მწკრივის წევრებს შორის დაცილებაზე და არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ დროის რა მონაკვეთზე განიხილება ეს დამოკიდებულება. ცნობილი შედეგია, რომ არასტაციონარული მწკრივებით მოდელის ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდით შევაფასებისას ხშირად ვაწყდებით ცრუ რეგრესიის პრობლემას და შეფასებული კოეფიციენტები, ასევე მათი სტატისტიკები, არაკორექტულს წარმოადგენს. მოდელთა სტაციონარულობას ვამოწმებთ დიკი ფულერის

<sup>22</sup> ანანიაშვილი, ი. (2012). *ეკონომეტრიკა*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".

გაფართოებული ADF ტესტის გამოყენებით. ADF ტესტის შედეგები მოცემულია ცხრილ 3.5-ში. როგორც წესი, ADF ტესტის შემოწმებისას ნულოვანი ჰიპოთეზა გულისხმობს ერთეულოვანი ფესვის არსებობას ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, მწკრივის არასტაციონარულობას. მაგრამ თუ დავაკვირდებით ცხრილ 3.5-ში მოცემულ P - value მნიშვნელობებს, შევნიშნავთ, რომ 5%-იანი მნიშვნელობის დონით ყველა განხილული მწკრივისთვის მწკრივის არასტაციონარულობის ნულოვანი ჰიპოთეზა შეგვიძლია უარვყოთ სტაციონარულობის სასარგებლოდ. ეს ფაქტი მნიშვნელოვნად გვიმარტივებს საქმეს და (3.1) მოდელი შეგვიძლია უპრობლემოდ შევაფასოთ ჩვეულებრივი OLS-ის გამოყენებით.

ცხრილი 3.5: ADF ტესტის შედეგები

Level(0)	t სტატისტიკა	P value
INF	-3.508655	0.0101
LAGINF	-3.457056	0.0117
INT	-3.526230	0.0429
UNEMGAP	-4.495530	0.0004
NEER	-4.054706	0.0104

შეფასებული მოდელის ანალიტიკური (განტოლების სახით ჩაწერილი) ვარიანტი შემდეგი სახისაა:

$$\widehat{INF} = 18.38 + 0.656LAGINF + 0.155UNEMGAP - 0.3INT - 0.0408NEER$$

რაც შეეხება შეფასების შედეგად მიღებულ დანარჩენ მახასიათებლებს, ისინი წარმოდგენილია ცხრილი 3.6-ში.

ცხრილი 3.6: შეფასებული მოდელის სტატისტიკური მახასიათებლები

დამოკიდებული ცვლადი	კოეფიციენტი	t სტატისტიკა	სტანდარტული გადახრა	P value
INF				
C	18.38	3.9228	4.6862	0.0002

LAGINF	0.6561	9.0665	0.0723	0.0000
UNEMGAP	0.155	0.610	0.254	0.5434
INT	-0.3009	-2.7531	0.109	0.0073
NEER	-0.0408	-3.8675	0.0105	0.0002

$$R^2 = 0.66 \quad Adj R^2 = 0.65 \quad DW = 1.22$$

უნდა ითქვას, რომ ეს ცხრილი არ იძლევა სრულ წარმოდგენას მოდელის ადეკვატურობის შესახებ. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, ცხრილი 3.6-ში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ნარჩენების ჰეტეროსკედასტურობისა და ავტოკორელაციის შესახებ. მართალია ცხრილის ქვედა სტრიქონში მოცემულია დარბინ-უიტსონის  $DW$  სტატისტიკის მნიშვნელობა, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ავტოკორელაციის შესახებ ამ სტატისტიკით მსჯელობა არ შეიძლება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოდელის ერთ-ერთ ამხსნელ ცვლადს დამოკიდებული ცვლადის ლაგური მნიშვნელობა წარმოადგენს. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ავტოკორელაციის გამოსავლენად სასურველია გამოვიყენოთ ბროიმ-გოდფრის ტესტი. ზოგადად აღნიშნული ტესტის განტოლებას შემდეგი სახე აქვს:

$$\hat{u}_t = \beta_0 + \beta_1 Y_{t-1} + \dots + \beta_k Y_{t-p} + \hat{\rho}_1 u_{t-1} + \hat{\rho}_2 u_{t-2} + \dots + \hat{\rho}_p u_{t-k} + v_t^{23}$$

სადაც  $Y_{t-j}$  საწყისი განტოლების ამხსნელი ლაგური ცვლადი;  $\hat{u}_t$  -ნარჩენობითი წევრია;  $v_t$  -თეთრი ხმაურია. ამ განტოლების შეფასების შემდეგ გამოითვლება მისი მორგების მაჩვენებელი  $R^2$ . როგორც თეორიიდან არის ცნობილი,  $R^2$ -ისა და მონაცემთა რაოდენობის,  $n$ -ის, ნამრავლს გააჩნია ხი-კვადრატ განაწილება  $k$  თავისუფლების ხარისხით და აღინიშნება  $LM$ -ით:

$$LM = nR^2 \sim \chi_p^2.$$

თუ  $LM$  სტატისტიკა მეტია  $\alpha$ -ს კრიტიკულ მნიშვნელობაზე, ნულოვან ჰიპოთეზას ავტოკორელაციის არ არსებობის შესახებ უარყოფთ ალტერნატიული ჰიპოთეზის სასარგებლოდ. ცხრილ 3.7-ში მოყვანილია ბროიმ-გოდფრის ტესტის შედეგები ოთხი

<sup>23</sup> ანანიაშვილი, ი. (2018). დროითი მწკრივების ანალიზი.



სხვადასხვა ლაგის შემთხვევისთვის. როგორც ვხედავთ ოთხივე შემთხვევაში დასტურდება, რომ ჩვენს მიერ შეფასებულ (3.1) მოდელში ავტოკორელაცია არსებობს.

**ცხრილი 3.7:** ავტოკორელაციის ტესტირება ბროიშ-გოდფრის ტესტით

ლაგი	Chi-Square	P value
1	30.45393	0.0000
2	15.34915	0.0000
3	11.7874	0.0000
4	11.07342	0.0000

კიდევ ერთი პრობლემა, რაც რეგრესიული ანალიზის დროს ვლინდება არის ჰეტეროსკედასტურობა. აღნიშნულ პრობლემას ადგილი აქვს, როდესაც რეგრესიული მოდელისთვის გაუს-მარკოვის პირობებიდან არ სრულდება ჰომოსკედასტურობის მოთხოვნა, კერძოდ, როდესაც შემთხვევითი წევრის დისპერსია ყველა დაკვირვებისთვის მუდმივი სიდიდე არ არის. აღნიშნული პრობლემის გასარკვევად ჩავატერეთ ბროიშ-პაგანის ტესტი, რომლის ნულოვანი ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ შეცდომის წევრები აკმაყოფილებენ ჰომოსკედასტურობის პირობას. ჩატარებულმა ტესტმა  $P=0.0000$  მნიშვნელობით უარყო ნულოვანი ჰიპოთეზა ალტერნატივის სასარგებლოდ. (იხილეთ დანართი 3.3) მაშასადამე, (3.1) მოდელის შეფასებულ ვარიანტში ერთდრულად გვაქვს ჰეტეროსკედასტურობა და ავტოკორელაცია. როგორც ცნობილია, ასეთ სიტუაციაში პრობლემა უკავშირდება არა შეფასებების გადაუადგილებლობას ან არაძალმოსილებას, არამედ ტესტების ვალიდურობას, რომელთა შესაბამისი სტატისტიკების გამოთვლაში პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომები. ამ პრობლემის გადალახვის ერთ-ერთი გამოსავალია რობასტული უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენება და რობასტული სტანდარტული შეცდომების გამოთვლა. ჩვენც სწორედ ამ გზას მივმართეთ და შეფასების შედეგად მივიღეთ რეგრესიის შემდეგი განტოლება (იხილეთ ცხრილი 3.8)

$$INF_t = 15.242 + 0.757INF_{t-1} - 0.0944UNEMGAP_t - 0.027NEER_t - 0.32INT_t$$

0.0001    0.0000                      0.6455                      0.0011                      0.0003

$R^2=0.54$      $Adjusted R^2 = 0.52$      $P=0.00000$

**ცხრილი 3.8:** რობასტული უმცირეს კვადრატთა მეთოდი

Dependent Variable: INF  
 Method: Robust Least Squares  
 Date: 06/30/20 Time: 20:57  
 Sample (adjusted): 1998Q2 2019Q4  
 Included observations: 87 after adjustments  
 Method: M-estimation  
 M settings: weight=Bisquare, tuning=4.685, scale=MAD (median centered)  
 Huber Type I Standard Errors & Covariance

Variable	Coefficient	Std. Error	z-Statistic	Prob.
C	15.24244	3.778703	4.033775	0.0001
INF(-1)	0.757624	0.058351	12.98396	0.0000
UNEMGAP	-0.094476	0.205358	-0.460056	0.6455
NEER	-0.027857	0.008519	-3.270122	0.0011
INT	-0.320080	0.088135	-3.631679	0.0003

Robust Statistics			
R-squared	0.544100	Adjusted R-squared	0.521861
Rw-squared	0.804657	Adjust Rw-squared	0.804657
Akaike info criterion	103.2716	Schwarz criterion	117.1492
Deviance	357.2211	Scale	1.940972
Rn-squared statistic	274.5075	Prob(Rn-squared stat.)	0.000000

ახლა შეგვიძლია გადავიდეთ ჩვენს მიერ მიღებული მოდელის ინტერპრეტაციაზე. როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ერთ-ერთი ცვლადი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაციის მიმდინარე დონეზე არის საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით აღებულ სესხებზე, უფრო ზუსტად სხვა თანაბარ პირობებში საპროცენტო განაკვეთის 1%-ით ზრდა ინფლაციის მიმდინარე მაჩვენებელს დაახლოებით 0.32%-ით ამცირებს. აღსანიშნავია ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გავლენა ინფლაციაზე. კერძოდ, სხვა თანაბარ პირობებში მისი 1%-ით ზრდა ინფლაციის მაჩვენებელს ამცირებს დაახლოებით 0.027%-ით. მიმდინარე ინფლაციის განსაზღვრაში ასევე დომინანტურ გავლენას ახდენს მისი ლაგური მნიშვნელობა. როგორც მოდელი გვიჩვენებს, უმუშევრობის გაპი კვლავ არამნიშვნელოვანი ცვლადია, თუმცა კოეფიციენტის ნიშანი კიდევ ერთხელ ადასტურებს ინფლაცია-უმუშევრობის ინვერსიულ დამოკიდებულებას. უფრო კონკრეტულად, რობასტული შეფასებების მიხედვით, უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან ერთი პროცენტული პუნქტით გადახრა (ზრდის მიმართულებით) მოკლევადიან

პერიოდში ინფლაციას ამცირებს დაახლოებით 0,094%-ით. რაც შეეხება გრძელვადიანი პერიოდის ეფექტს, მოცემულ შემთხვევაში ის შემდეგი სახით განისაზღვრება:

$$\delta = \frac{-0,0944}{1 - 0,575} = -0,388.$$

მაშასადამე (3.1) მოდელის მიხედვით, რომელშიც ინფლაციის ლაგური მნიშვნელობისა და უმუშევრობის დონის გაპთან ერთად ამხსნელ ცვლადებად გავითვალისწინეთ ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი და საპროცენტო განაკვეთი, უმუშევრობის დონის 1%-იანი ზრდა ინფლაციას გრძელვადიან პერიოდში მხოლოდ 0,388 პროცენტული პუნქტით ამცირებს.

#### 4. ინფლაციისა და უმუშევრობის დინამიკის შეფასება ვექტორული ავტორეგრესიის მოდელით

მაკროეკონომიკაში მაჩვენებლები ერთმანეთზე მუდმივად ზემოქმედებენ, შესაბამისად ეკონომიკური ცვლადების დაყოფა ენდოგენურ და ეგზოგენურ მაჩვენებლებად ხშირად არასწორ შედეგს გვაძლევს. სწორედ ამიტომ ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი გვუძლავს, ცვლადების ურთიერთგავლენა უფრო ნათლად დავინახოთ. აღნიშნულ მოდელში შესაძლებლობა გვაქვს განვსაზღვროთ კავშირი არა მარტო შედეგობრივ და ფაქტორულ ცვლადების მნიშვნელობებთან, არამედ მათ ლაგურ მნიშვნელობებთანაც. ინფლაციისა და უმუშევრობის მიმდინარე მნიშვნელობების გასაანალიზებლად განვიხილოთ VAR მოდელის უმარტივესი შემთხვევა, როდესაც მონაწილეობს ორი მწკრივი. მოდელის ასაგებად კვლავ ვყვრდნობით 1998 წლიდან 2019 წლამდე კვარტალურ მონაცემებს. შემოვიღოთ აღნიშვნები:

$inf_t$  - ინფლაციის მიმდინარე მნიშვნელობა;

$unem_t$  - უმუშევრობის მიმდინარე მაჩვენებელი.

$p$  ლაგის VAR მოდელს შემდეგი სახე ექნება:

$$\begin{aligned} inf_t &= \alpha_1 + \beta_{11}inf_{t-1} + \gamma_{12}unem_{t-1} + \dots + \beta_{1p}inf_{t-p} + \gamma_{1p}unem_{t-p} + \varepsilon_{1t} \\ unem_t &= \alpha_2 + \beta_{21}inf_{t-1} + \gamma_{21}unem_{t-1} + \dots + \beta_{2p}inf_{t-p} + \gamma_{2p}unem_{t-p} + \varepsilon_{2t} \end{aligned}$$

სადაც  $\varepsilon_{1t}$  და  $\varepsilon_{2t}$  ერთმანეთთან არაკორელირებული თეთრი ხმაურის პროცესებია<sup>24</sup>.

მოდელის აგებას ვიწყებთ რამდენიმე ლაგის ჩართვით, შემდეგ კი სხვადასხვა კრიტერიუმის მეშვეობით ვარჩევთ ოპტიმალური ლაგის მნიშვნელობას. მოდელის შერჩევითვის გამოიყენება კარგად ცნობილი აკაიკის ინფორმაციული კრიტერიუმი (AIC), რომელსაც მოცემულ შემთხვევაში შემდეგი სახე აქვს:

$$AIC = \log \hat{\sigma}^2 + 2 \frac{p+q}{T},$$

<sup>24</sup> ანანიაშვილი, ი. (2018). დროითი მწკრივების ანალიზი.

სადაც  $\sigma^2$  არის  $\varepsilon_t$ -ს შეფასებული დისპერსიაა. ალტერნატიული კრიტერიუმია შვარცის ბეიესური ინფორმაციული კრიტერიუმი (BIC) , რომელიც შემოთავაზებულია შვარცის მიერ და შემდეგი სახისაა :

$$BIC = \log\hat{\sigma}^2 + 2\frac{p+q}{T}\log T.$$

ორივე კრიტერიუმი დაფუძნებულია დასაჯერებლობაზე და ასახავს კომპრომისს მორგების ხარისხსა, რომელიც იზომება დასაჯერებლობის ლოგარითმით და ეკონომიურობას შორის, რომელიც იზომება  $(p+q)$  -თი<sup>25</sup>. ჩვენს შემთხვევაში ლაგის სიგრძის ოპტიმალური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში:

**ცხრილი 4.1:** ოპტიმალური ლაგის განსაზღვრა

Lag	LogL	LR	FPE	AIC	SC	HQ
0	-381.948...	NA	50.55027	9.598720	9.658270	9.622595
1	-314.504...	129.8302	10.34941	8.012613	8.191265	8.084240
2	-304.973...	17.87133	9.015100	7.874329	8.172082	7.993707
3	-301.672...	6.023694	9.179343	7.891812	8.308667	8.058941
4	-295.090...	11.68229	8.614372	7.827273	8.363229	8.042153
5	-276.855...	31.45546	6.044500	7.471397	8.126454	7.734028
6	-265.562...	18.91618*	5.048673*	7.289066*	8.063224*	7.599448*
7	-263.432...	3.461984	5.307015	7.335804	8.229064	7.693938
8	-261.705...	2.719384	5.640868	7.392640	8.405001	7.798524

თითქმის ყველა კრიტერიუმის მიხედვით ოპტიმალური ლაგის სიგრძე შეადგენს 6-ს. შესაბამისად მოდელი მიიღებს სახეს:

$$\begin{aligned} \pi_t &= 1.879 + 0.079u_{t-1} + 1.289\pi_{t-1} - 0.087u_{t-2} - 0.686\pi_{t-2} + 0.136u_{t-3} + 0.421\pi_{t-3} \\ &\quad - 0.518u_{t-4} - 0.749\pi_{t-4} + 0.198u_{t-5} + 0.837\pi_{t-5} + 0.144u_{t-6} - 0.351\pi_{t-6} \\ u_t &= 0.287 + 0.66u_{t-1} + 0.049\pi_{t-1} + 0.022u_{t-2} - 0.005\pi_{t-2} + 0.035u_{t-3} - 0.034\pi_{t-3} \\ &\quad + 0.56u_{t-4} + 0.009\pi_{t-4} - 0.328u_{t-5} - 0.096\pi_{t-5} - 0.07u_{t-6} + 0.13\pi_{t-6} \end{aligned}$$

აღნიშნული მოდელისთვის დეტერმინაციის კოეფიციენტი უდრის 0.83-ს, ხოლო კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.8-ის ტოლია. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ მოდელის მორგების ხარისხი საკმაოდ მაღალია. თუმცა ის აუცილებლად უნდა შევამოწმოთ ავტოკორელაციასა და ჰეტეროსკედასტურობაზე.

<sup>25</sup> ანანიაშვილი, ი. (2018). დროითი მწკრივების ანალიზი.

ავტორეგრესიის შემოწმებას ვახდენთ LM ტესტის გამოყენებით, რომლის P – value მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილში 4.2. თუ არ ჩავთვლით მესამე ლაგს, ავტორეგრესია აღნიშნულ შემთხვევაში პრობლემას არ წარმოადგენს.

**ცხრილი 4.2** VAR მოდელის შემოწმება ავტორეგრესიაზე LM ტესტის გამოყენებით

VAR Residual Serial Correlation LM Tests  
 Date: 07/11/20 Time: 12:19  
 Sample: 1998Q1 2019Q4  
 Included observations: 82

---

Null hypothesis: No serial correlation at lag h

---

Lag	LRE* stat	df	Prob.	Rao F-stat	df	Prob.
1	4.017781	4	0.4036	1.012103	(4, 132.0)	0.4036
2	5.598300	4	0.2312	1.418701	(4, 132.0)	0.2312
3	9.523229	4	0.0493	2.449558	(4, 132.0)	0.0493
4	1.956693	4	0.7437	0.489084	(4, 132.0)	0.7437
5	1.892772	4	0.7555	0.472993	(4, 132.0)	0.7555
6	2.532367	4	0.6388	0.634352	(4, 132.0)	0.6389

ჰეტეროსკედასტურობას ვამოწმებთ ვაიტის ტესტით, რომლის P – value მნიშვნელობა 0.0647 აღემატება 5%-იან მნიშვნელოვნების დონეს, რაც ნიშნავს რომ უნდა მივიღოთ ნულოვანი ჰიპოთეზა ჰომოსკედასტურობის შესახებ. (იხილეთ დანართი 4.2).

დროით მწკრივებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასახასიათებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ გრეინჯერის მიზეზ-შედეგობრიობის ტესტი. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს უკეთ დავინახოთ მათი ურთიერთდამოკიდებულების მიმართულება ანუ განვსაზღვროთ ინფლაცია იწვევს უმუშევრობის ცვლილებას თუ პირიქით. მოცემული ტესტი გულისხმობს, რომ გრეინჯერის მიხედვით ინფლაცია უმუშევრობის ზრდის მიზეზს წარმოადგენს თუ ინფლაციის ლაგური მაჩვენებლების გაუთვალისწინებლობა გავლენას მოახდენს უმუშევრობის ცვლილების პროგნოზის ხარისხზე. ანალოგიურად უმუშევრობა ინფლაციის ზრდის მიზეზია, თუ მისი ლაგური მნიშვნელობების ჩაურთველობა გავლენას მოახდენს ინფლაციის პროგნოზის ხარისხზე. ტესტის ზოგადი ანალიტიკური განტოლება ასე გამოიყურება:

$$INF_t = \sum_{j=1}^k \alpha_j INF_{t-j} + \sum_{j=1}^k \beta_j UNEM_{t-j} + \varepsilon_t$$

თუ მოცემულ მოდელში  $\beta$  კოეფიციენტები 0-ის ტოლია  $\beta_1 = \beta_2 = \beta_3 = \dots = \beta_k = 0$ , ნიშნავს, რომ უმუშევრობა ვერ იქნება ინფლაციის განმსაზღვრელი. ანალოგიური მსჯელობა ვრცელდება დამოკიდებულ ცვლადად უმუშევრობის განხილვაზეც. მოცემულ შემთხვევაში ტესტის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 4.3.

**ცხრილი 4.3:** გრეინჯერის მიზეზ-შედეგობრიობის ტესტი

VAR Granger Causality/Block Exogeneity Wald Tests  
 Date: 07/06/20 Time: 20:57  
 Sample: 1998Q1 2019Q4  
 Included observations: 82

---

Dependent variable: INF

Excluded	Chi-sq	df	Prob.
UNEM	8.242264	6	0.2209
All	8.242264	6	0.2209

---

Dependent variable: UNEM

Excluded	Chi-sq	df	Prob.
INF	15.59672	6	0.0161
All	15.59672	6	0.0161


ტესტის ინტერპრეტაცია მარტივია: ინფლაციის დამოკიდებულ ცვლადად განხილვის შემთხვევაში P მნიშვნელობა აღემატება 5%-იან მნიშვნელოვნების დონეს, რაც ნიშნავს რომ ნულოვანი ჰიპოთეზა გრეინჯერის მიზეზობრიობასთან დაკავშირებით უნდა მივიღოთ. ეს ნიშნავს, რომ ინფლაციის პროგნოზირებისთვის უმუშევრობის მაჩვენებლების განხილვა მნიშვნელოვანია. მეორე შემთხვევაში კი მივიღეთ, რომ ინფლაცია არ წარმოადგენს მიზეზს გრეინჯერის მიხედვით უმუშევრობისთვის.

საინტერესოა, განვიხილოთ იმპულსზე გამოხმაურების ფუნქცია, რომელიც გვიჩვენებს ცვლადების რეაქციას შემთხვევითი სიდიდის ერთჯერად შოკზე და საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ აღნიშნული შოკის ზეგავლენით სისტემის რეაქცია. ჰორიზონტალურ ღერძზე მოცემულია პერიოდები, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე

წარმოდგენილია დამოკიდებული ცვლადის რეაქცია აღნიშნულ პერიოდში წარმოქმნილ შოკებზე.

როგორც გრაფიკზე ვხედავთ, მნიშვნელოვანია ინფლაციის შოკის გავლენა ინფლაციაზე და უმუშევრობის შოკის გავლენა უმუშევრობაზე. უმუშევრობის დონის ცვლილება მხოლოდ ოთხი პერიოდის შემდეგ იწყებს ინფლაციაზე ზემოქმედებას, რასაც მოჰყვება აღნიშნული მაჩვენებლის შემცირება მეექვსე პერიოდში, შემდგომ ადგილი აქვს მცირედით ზრდას, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ეფექტი ნულს უახლოვდება. რაც შეეხება ინფლაციის შოკს, ის თავდაპირველად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, შემდგომ მეხუთე-მეექვსე პერიოდში ფიქსირდება მცირედი ვარდნა, თუმცა ის კვლავ ზრდის მდგომარეობას უბრუნდება. იმპულსზე გამოხმაურების ფუნქცია მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ინფლაციისა და უმუშევრობის პროგნოზირებისთვის.

**გრაფიკი 4.1**





## 5. განაწილებულ ლაგიანი ავტორეგრესიული მოდელი (ARDL)


ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებული დამოკიდებულების ასახსნელად გამოვიყენებთ განაწილებულ ლაგიან ავტორეგრესიულ მოდელს (ARDL). მოცემული მოდელის არჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეკონომიკაში მაკროეკონომიკური ცვლადები მუდმივად ერთმანეთზე ზემოქმედებს და ხშირად ეს გავლენა მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ პოულობს ასახვას. გარდა ამისა, აღნიშნულ მეთოდს კონტეგრაციის სხვა მეთოდებთან შედარებით რამდენიმე უპირატესობა აქვს. უპირველეს ყოვლისა, იგი შესაძლებლობას გვაძლევს მოდელში გავითვალისწინოთ შედეგობრივი და ფაქტორული ცვლადების ლაგური მნიშვნელობები, აგრეთვე გამოვავლინოთ მათ შორის არსებული დამოკიდებულებები. ამასთან ARDL მიდგომის გამოყენებისას მიიღება უფრო რეალური, გადაუადგილებელი და ეფექტური შეფასებები. მისი გამოყენება საკმაოდ ეფექტურ შედეგს გვაძლევს შერჩევის მცირე მოცულობის პირობებშიც.

მოდელის შეზღუდვა იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოყენება ვერ მოხერხდება თუ დროითი მწკრივები მეორე რიგის სხვაობით სტაციონარულია. ჩვენს შემთხვევაში ვინაიდან ინფლაცია და ჩვენთვის საინტერესო სხვა მწკრივები სტაციონარულია, ხოლო უმუშევრობა პირველი რიგის სტაციონარული, მათ საფუძველზე მოდელის აგება პრობლემას არ წარმოადგენს. ამასთან ARDL მოდელის მარტივი წრფივი გარდაქმნით შეგვიძლია მივიღოთ ცდომილების კორექციის მოდელი (ECM), რომელიც მოდელში წარმოგვიდგენს მოკლევადიან დინამიკას გრძელვადიანი ურთიერთდამოკიდებულების დაკარგვის გარეშე.

ARDL მიდგომის გამოყენებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლაგის სიგრძის განსაზღვრა. შეფასებისას ამისათვის ჩვენ გამოვიყენეთ აკაიკის ინფორმაციული კრიტერიუმი, რომლის ყველაზე დაბალი მნიშვნელობა 4.818 შეესაბამება ARDL(2,0) მოდელს (იხ. გრაფიკი 5.1).

გრძელვადიანი დამოკიდებულების (ანუ გრძელვადიანი წონასწორობის) დასადგენად ჩვენ შევაფასებთ შემდეგი ორი სახის მოდელს:

გრაფიკი 5.1: აკაიკის კრიტერიუმი მინიმალური მნიშვნელობის მქონე 20 განტოლებისთვის



$$INF_t = \beta_0 + \beta_1 UNEM_t + \varepsilon_t \quad (1)$$

$$UNEM_t = \beta_2 + \beta_3 INF_t + \varepsilon_t \quad (2)$$

რომ დავადგინოთ არსებობს, თუ არა გრძელვადიანი დამოკიდებულება ინფლაციასა და უმუშევრობას შორის, ვატარებთ „საზღვრების“ ტესტს (იხ. ცხრილი 5.1). ტესტის ნულოვანი ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ არ არსებობს კონტეგრაციული შესაბამისობა მოცემულ ცვლადებს შორის. მოცემულ შემთხვევაში გვაქვს კრიტიკული წერტილების ზედა ზღვარი იმ შემთხვევისთვის, როდესაც ყველა ცვლადი პირველი რიგის სხვაობით სტაციონარულია (ანუ I(1)-ია) და ქვედა ზღვარი, როდესაც ცვლადები სტაციონარულია ანუ ნულოვანი რიგის ინტეგრირებულია, I(0). თუ F სტატისტიკა შესაბამისი მნიშვნელოვნების დონით გადააჭარბებს კრიტიკული წერტილების ზედა ზღვარს, ნულოვან ჰიპოთეზას უარვყოფთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ცვლადებს შორის არსებობს გრძელვადიანი დამოკიდებულება. საწინააღმდეგო შემთხვევაში, როდესაც F სტატისტიკა ნაკლები იქნება ქვედა ზღვარზე, ჩვენ ვერ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას, - შესაბამისად, ცვლადებს შორის არ არსებობს

გრძელვადიანი კავშირი. ხოლო თუ F სტატისტიკა აღნიშნულ კრიტიკულ წერტილებს შორის აღმოჩნდება, ტესტის შესრულებას აზრი არ ექნება. ჩვენს შემთხვევაში, აღმოჩნდა, რომ პირველ განტოლებაში F სტატისტიკა აღემატება ზედა კრიტიკულ ზღვარს, მაშასადამე, ინფლაციასა და უმუშევრობას შორის ვლინდება კონტეგრაციული ურთიერთდამოკიდებულება, რასაც ვერ ვიტყვით მეორე განტოლების შემთხვევაში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოდელში, სადაც უმუშევრობის დონე გამოდის დამოკიდებული ცვლადის როლში, გრძელვადიანი კავშირი არ ვლინდება, ხოლო მოდელში, სადაც ინფლაციაა დამოკიდებული ცვლადი, მათ შორის კავშირს ცხადი სახე აქვს. აღსანიშნავია, რომ გრძელვადიანი წონასწორობის შეფასებულ განტოლებაში უმუშევრობის დონის შესაბამისი კოეფიციენტი უარყოფითია, თუმცა არამნიშვნელოვანი. ამასთან უმუშევრობის 1%-იან შემცირებას შეესაბამება ინფლაციის ზრდა 0.11%-ით.

ცხრილი 5.1: „საზღვრების“ ტესტი

Estimated Equation	INF=f(UNEM)	UNEM=f(INF)
F statistics	8.2365	1.2334
Optimal lag length	(2,0)	(4,0)
Asymptotic critical values	Lower Bound I(0)	Upper Bound I(1)
1%	4.94	5.58
5%	3.62	4.16
10%	3.02	3.51
Diagnostic tests		
R <sup>2</sup>	0.68	0.67
Adjusted R <sup>2</sup>	0.67	0.65
F statistics	60.74690	31.8688
Breusch-Godfrey test	0.5827 (0.5607)	6.616 (0.0033)
ARCH LM test	0.7042 (0.4975)	0.9608 (0.3870)

იმისათვის, რომ ინფლაციის მოდელს მივცეთ უფრო სრულყოფილი სახე, რომელშიც ჩართული იქნება სხვა მნიშვნელოვანი ცვლადებიც, განვიხილოთ შემდეგი სახის დამოკიდებულება:

$$INF_t = f(INF, INT, NEER, UNEM).$$

როგორც ვხედავთ, მოდელში ამხსნელ ცვლადებად უნდა ჩავრთოთ ინფლაციის - *INF*-ის ლაგური მნიშვნელობები, რომელიც საკმაოდ ძლიერ გავლენას ახდენს მიმდინარე მაჩვენებელზე; საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები კომერციული ბანკების სესხებზე<sup>26</sup> - *INT*; ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის მაჩვენებელი, *NEER*, რაც იმითაა განპირობებული, რომ საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა და მაღალი დოლარიზაციით გამოირჩევა; უმუშევრობის დონე, *UNEM*. ვინაიდან მოდელში ჩასართავად ჩვენს მიერ შერჩეული დროითი მწკრივები ან სტაციონარულია ან პირველი რიგის სხვაობით სტაციონარულდება, მარტივად შეგვიძლია ავაგოთ ავტორეგრესიის განაწილებულლაგისანი მოდელი (ARDL). ამ მოდელის შეფასებულ ვარიანტს (5.1) განტოლებასთან ერთად ახასიათებს ცხრილ 5.2-ში მოყვანილი მახასიათებლები.

$$INF_t = 14.065 + 1.045INF_{t-1} - 0.4703INF_{t-2} + 0.204UNEM_t - 0.0396NEER_t - 0.8727INT_t + 0.6391INT_{t-1} \quad (5.1)$$

**ცხრილი 5.2:** შეფასებული რეგრესიის ARDL მოდელის მახასიათებლები

დამოკიდებული ცვლადი INF	კოეფიციენტი	სტანდარტული შეცდომა	t სტატისტიკა	P- მნიშვნელობა
INF(-1)	1.045	0.0923	11.32	0.0000
INF(-2)	-0.4703	0.0855	-5.4999	0.0000
UNEM	0.204	0.139	1.4655	0.1467
INT	-0.8727	0.229	-3.79	0.000
INT(-1)	0.6391	0.219	2.911	0.0047
NEER	-0.039	0.009	-4.036	0.0001
C	14.06	4.04	3.4811	0.0008

$$R^2 = 0.77 \quad DW = 2.03 \quad F = 45.74 \quad P(F) = 0.0000$$

<sup>26</sup> ეროვნული ბანკის ერთ-ერთ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს წარმოადგენს რეფინანსირების განაკვეთი, რომლის საშუალებით ის გავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთებზე და შესაბამისად ინფლაციაზე.

შეფასებული მოდელის მორგების მაჩვენებელი საკამოდ მაღალია. რაც შეეხება კოეფიციენტებს, მათი უმეტესობა მნიშვნელოვანია. აღნიშნული მოდელის შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ სხვა თანაბარ პირობებში წინა პერიოდის ინფლაციის მაჩვენებელი 1.04%-ით განსაზღვრავს ინფლაციის მიმდინარე დონეს, რაც ლოგიკურია, ვინაიდან ინდივიდები სწორედ წინა პერიოდის მაჩვენებლებზე დაყრდნობით აყალიბებენ მოლოდინებს ინფლაციის მომავალ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რაც შესაბამისად აისახება ფაქტობრივ ინფლაციაზე. ადრე განხილული მოდელების მსგავსად ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა, რომ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის დამოკიდებულება არამნიშვნელოვანია და თანაც კოეფიციენტის ნიშანი წინააღმდეგობაშია თეორიასთან.

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი სტატისტიკურად მნიშვნელოვან ცვლადად გვევლინება. მისი ერთ პროცენტის გაუფასურება ინფლაციის მაჩვენებელს მოკლევადიან პერიოდში საშუალოდ ზრდის 0.039%-ით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ მოკლევადიან ეფექტს წარმოადგენს. თუ გამოვითვლით ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი ინფლაციაზე ზემოქმედების გრძელვადიან ეფექტს, მაშინ მივიღებთ, რომ NEER -ის ერთი პროცენტით გაუფასურებას გრძელვადიან პერიოდში შეესაბამება ინფლაციის ზრდა 0,092%-ით. ეს მნიშვნელობა მიიღება გრძელვადიანი მულტიპლიკატორის გამოყენებით რომელსაც NEER-ისთვის შემდეგი ფორმულა შეესაბამება:

$$\delta_{NEFR} = \frac{-0,039}{1-1,045+0,4703} = -0,092.$$

ინფლაციასა ნომინალურ ეფექტურ გაცვლითი კურსს შორის უარყოფითი დამოკიდებულება თეორიულად ახსნადია. როდესაც ადგილი აქვს ლარის მსყიდველობითუნარიანობის შემცირებას, იმპორტული პროდუქტი ადგილობრივთან შედარებით ძვირდება და, რადგან საქართველო იმპორტზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული (სამომხმარებლო კალათის დიდი ნაწილი სწორედ იმპორტულ პროდუქტს უჭირავს), მისი გავლენა ინფლაციაზე ცალსახაა.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლადს წარმოადგენს საშუალო საპროცენტო განაკვეთი კომერციულ ბანკში ეროვნული ვალუტით აღებულ სესხებზე, INT. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოცემული მაჩვენებელი რეფინანსირების განაკვეთის გავლით მოქმედებს

ინფლაციაზე. ამ მაჩვენებელსაც გააჩნია ინფლაციაზე მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედების ეფექტი. შეფასებული მოდელის მიხედვით მისი ერთ პროცენტული შემცირება მოკლევადიან პერიოდში ინფლაციას 0.87%-ით ზრდის, ხოლო გრძელვადიანი ზემოქმედება კი შემდეგი მულტიპლიკატორით განისაზღვრება:

$$\delta_{NEFR} = \frac{-0,8727 + 0,6391}{1 - 1,045 + 0,4703} = -0,5493\%$$

შევამოწმეთ მიღებული მოდელის ნარჩენების ჰეტეროსკედასტურობა და ავტოკორელაცია. ზოგადად, ჩვენთვის ცნობილია, რომ ARDL მოდელში ნაკლებსავარაუდოა გვექნდეს ავტოკორელაციის პრობლემა, რადგან რამდენიმე ცვლადის და მათი ლაგური მნიშვნელობების ჩართვა ენდოგენურობისა და ავტოკორელაციის პრობლემას ხშირად დადებითად წყვეტს. პირველი, რაც ავტოკორელაციის არ არსებობაზე მიგვითითებს, ესაა დარბინ-ვოტსონის მაჩვენებელი: მისი მნიშვნელობაა, 2.02, იმდენად ახლოსაა 2-თან, რომ დიდი ალბათობით ავტოკორელაცია უნდა გამოვრიცხოთ. თუმცა უფრო ზუსტი დასკვნების გამოსატანად მივმართეთ ბროიმ-გოდფრის ტესტს (იხ. ცხრილი 5.3).

**ცხრილი 5.3:** ავტოკორელაციის ტესტირება ARDL მოდელში ბროიმ-გოდფრის ტესტით

ლაგი	Chi <sup>2</sup>	P-მნიშვნელობა
1	0.3731	0.5431
2	1.006	0.3703
3	4.593	0.0052
4	6.0944	0.0003

ცხრილის შედეგები ცხადად ადასტურებს, რომ მოდელი თავისუფალია ავტოკორელაციის პრობლემისგან პირველ და მეორე ლაგზე, თუმცა მესამე და მეოთხე ლაგზე იჩენს თავს. ჰომოსკედასტურობის დასადასტურებლად ვატარებთ უაიტის ტესტს, რომლის სტატისტიკის მნიშვნელობა 7.613 მნიშვნელოვნების 0.0000 დონით გვიჩვენებს, რომ მოდელში გვაქვს ჰეტეროსკედასტურობის პრობლემა, რაც შეფასებებს არაეფექტურს ხდის, თუმცა ისინი გადაუადგილებელი და ძალმოსილია.

ახლა საინტერესოა, შევამოწმოთ არსებობს თუ არა ცვლადებს შორის გრძელვადიანი კონტეგრაციული კავშირი. ამ მიზნით მივმართოთ ე.წ „საზღვრების“ ტესტს. ტესტის შედეგები მოცემულია ცხრილ 5.4-ში

**ცხრილი 5.4:** ცვლადებს შორის გრძელვადიანი კონტეგრაციული დამოკიდებულების ტესტირება

	მნიშვნელობა	მნიშვნელოვნების დონე	I(0)	I(1)
F სტატისტიკა	11.08	10%	2.72	3.77
		5%	3.23	4.35
		1%	4.29	5.61

როგორც ცხრილიდან ჩანს, F სტატისტიკის მნიშვნელობა აღემატება ნულოვანი და პირველი რიგის კონტეგრაციისთვის საჭირო საზღვრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ცვლადებს შორის არსებობს გრძელვადიანი ურთიერთშესაბამისობა. აღნიშნული ტესტის შედეგებიდან გამომდინარე, მარტივად შეგვიძლია გადავიდეთ ცდომილების კორექციის მოდელზე (ECM), რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს დავინახოთ მოკლევადიანი ეფექტები და გრძელვადიანი წონასწორობისკენ სვლა. შეფასებულ ECM მოდელის ვარიანტს (5.2) განტოლებასთან ერთად ახასიათებს ცხრილ 5.5-ში მოყვანილი მახასიათებლები.

$$\Delta INF_t = 14.741 + 0.476\Delta INF_{t-1} - 0.04\Delta INF_{t-2} - 0.043\Delta UNEM_t - 0.05\Delta NEER_t - 0.944\Delta INT_t + 0.0553\Delta INT_{t-1} - 0.44CointEq_{t-1} \quad (5.2)$$

სადაც  $CointEq_{t-1}$  გამოსახავს გრძელვადიანი წონასწორობიდან გადახრას დროის  $t - 1$  მომენტში. ამასთან, ეს გადახრა შემდეგი სახით განისაზღვრება:  $(INF_{t-1} - \beta_0 - \beta_1 UNEM_{t-1})$ .

**ცხრილი 5.5:** შეფასებული ECM მოდელის მახასიათებლები

დამოკიდებული ცვლადი, $\Delta INF$	კოეფიციენტი	t სტატისტიკა	P-მნიშვნელობა
C	14.74	5.45	0.0000

$\Delta INF(-1)$	0.476	5.187	0.0000
$\Delta INF(-2)$	-0.0407	0.416	0.6782
$\Delta UNEM$	0.043	0.226	0.8217
$\Delta NEER$	-0.05	-1.57	0.1195
$\Delta INT$	-0.944	-4.33	0.0000
$\Delta INT(-1)$	0.0553	0.242	0.8089
CointEq(-1)	-0.0031	-0.358	0.0004

$$R^2 = 0.51 \quad Adjusted R^2 = 0.47 \quad DW = 1.98$$

